# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №144(213) შაბათი, 5 აგვისტო, 1995 ფასი 250 000 კუპონი

პარლამენტი

## რეფერენდუმზე ფიქრი დაიწყეს

საქართველოს პარლამენტის 3 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დასაწყისში სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ რ.მიმინოშვილმა აცნობა კოლეგებს, დეპუტატ თ.ობგაიძის პოლიციის აკადემიაში გადასვლასთან დაკავშირებით, მიელო გადაწყვეტილება მისი სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. გ.ბერიშვილმა მოითხოვა დეპუტატ ობგაიძის საკითხის განხილვასთან ერთად, იმ 30 დეპუტატის საკითხიც განეხილათ, ვინც სხვა სამუშაოსაც ითავსებს. ვ.რჩეულიშვილმა განმარტა, რომ დეპუტატის მიერ მ.კოსტავას საზოგადოების რიგებიდან გასვლამ განაპირობა მისი პარლამენტის დატოვება და არა მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ. ვადამიამ ვიცესპიკერის განმარტება პერიფრაზებად ჩათვალა, ვინაიდან ხუთი თვის წინ ობგაიძეს მიუმართავს სამანდატო კომისიისთვის პოლიციაში მუშაობისა და პარლამენტის წევრობის შეუთავსებლობის გამო, შეეწყვიტათ მისთვის უფლებამოსილება. ადამიამ „დააწყნარა" პარლამენტი, რომ ობგაიძის ადგილმონაცვლედ „მეორე ხავთასს არ მოვიყვანო". ჯიოსელიანმა აღნიშნა, რომ „სამოსას" პარლამენტშიც კი არ ყოფილა ამდენი ნომენკლატურიანი პარლამენტარი. თ.სიჯუამ დაუმატა, რომ კომისია ვალდებული იყო, დღემდე გადაეწყვიტა მსგავსი საკითხები. მისი თქმით, კანონის დარღვევაა, როცა დეპუტატი ინიშნება რაიმე თანამდებობაზე, ხოლო სამანდატო კომისია არ აყენებს მისი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს. ამის შემდეგ რ.ბერიძემ პარლამენტს გააცნო შემთანხმებლური კომისიის მუშაობის შედეგები, რომელიც, ძირითადად, მთავრობის შექმნის საკითხს ეხებოდა. ი.წერეთელი დაინტერესდა იმით, თუ რომელი პარტიები მონაწილეობდნენ შემთანხმებლური კომისიის მუშაობაში. ესენი აღმოჩნდნენ ტრადიციონალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. ნ.ნათაძემ პარლამენტს შეახსენა, რომ იქმნება საშიშროება ერთპიროვნული მმართველობისა. ეს საკითხი, მისი აზრით, კამათის საგანია, რათა არ ჩავაყენოთ ქვეყანა „უძლურ დიქტატურაში". ი.წერეთელმა შეახსენა კოლეგებს მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც 10 აგვისტომდე პარლამენტს საარჩევნო კანონზე უნდა ემუშავა. ზან ასევე დაგმო წინა სხდომაზე გ.ბარამიძის მიერ გაკეთებული განცხადება ეროვნული ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით და მას „ცილისმწამებლური" უწოდა.

მცირე შესვენების შემდეგ, თ.ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ რეალურად ეს პარლამენტი კონსტიტუციას ვერ მიიღებს, ხოლო კონსტიტუციის რეფერენდუმზე გატანა კანონის დარღვევად და დანაშაულად ჩათვალა. მისი თქმით, მონარქისტებისთვის საპრეზიდენტო მმართველობა იდეურად მიუღებელია და ეს ყოფილა მიზეზი შემთანხმებლურ კომისიაში მათი არმისვლისა. დღევანდელი საქართველოსთვის კი საპარლამენტო მმართველობაა მისაღები. ზ.მურვანიძე დაეთანხმა კოლეგას იმ საკითხში, რომ კონსტიტუციის რეფერენდუმზე გატანა არ იქნებოდა მიზანშეწონილი. გ.გოდერძიშვილმა სთხოვა სახელმწიფოს მეთაურს, კონსტიტუციის მიღებამდე მისთვის მიეცა ნახევარსაათიანი სიტყვა, სადაც იგი განმარტავდა წელიწადნახევრის განმავლობაში პარლამენტის სხდომის გაცდენის მიზეზს — მინდა აგიხსნათ, რატომ ვიყავი ჩუმადო. ვ.ძაბირაძემ შემოიტანა წინადადება, რომ თუ პარლამენტის ორი მესამედი მომხრე იქნებოდა კონსტიტუციის შემოთავაზებული პროექტისა, მიეღოთ იგი. მ.გიორგაძემ აღნიშნა, რომ პროცესს წინსვლა ეტყობა. ვისთვისაც პრინციპულად მიუღებელი არ არის კონსტიტუციის პროექტის საკითხები, იმან გააგრძელოს მუშაობა შემთანხმებლურ კომისიაშიო. თ.ცინცაძე დაეთანხმა კოლეგას და დაადასტურა ის ფაქტი, რომ კომისიაში ბევრი კარგი გაკეთდა — კიდევ წავალ კომპრომისზე, ოღონდ კი კონსტიტუცია მივიღოთო, — განაცხადა მან.

აასათიანის თქმით, პრინციპული საკითხების გარშემო პოზიციების გამოხატვით შესაძლებელი იქნებოდა საქმის წინ წაყვანა. მან კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ პარლამენტი კონსტიტუციის საკითხის რეფერენდუმზე გატანის წინააღმდეგია. ჩვენ ჩვენსავე იდეოლოგიის წინააღმდეგ მივდივართ და ძლიერ საპრეზიდენტო ინსტიტუტს ვუჭერთ მხარს. — დასძინა ტრადიციონალისტთა ლიდერმა. რ.დოლიძეც ანალოგიური შეხედულების აღმოჩნდა და განაცხადა, რომ დღევანდელ საქართველოს ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება სჭირდება. საპარლამენტო რესპუბლიკა დღეს ჩვენში ვერ იმუშავებსო. შ.ნათელაშვილმა უკვე მერამდენედ შეახსენა პარლამენტს კონსტიტუციის მიღების აუცილებლობის შესახებ. „მთავარია, რაღაცას დავარქვათ კონსტიტუცია", რადგანაც ამას დიდი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკისთვის. თ.დიასამიძემ უნაყოფო დროის ხარჯვად ჩათვალა კონსტიტუციაზე მუშაობის პერიოდი, რადგანაც ადრევე ნათელი იყო, რომ

გაგრძელება მე- 2 გვ.

## პირველი საბარათო აუქციონის შედეგები

პირველი საბარათო აუქციონის შედეგები შეიძლება დადებითად შეფასდეს. წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ქონების მართვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ საინფორმაციო კამპანიაზე. აუქციონის შედეგების გამოთვლა წარმოებდა კომპიუტერული პროგრამით. სპეციალური საბარათო აუქციონი, დამტკიცებული გრაფიკის თანახმად, დაიწყო 1995 წლის 26 ივნისს და დამთავრდა 1995 წლის 10 ივლისს. პირველ საბარათო აუქციონზე გამოტანილი იყო 25 სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტები, საერთო რაოდენობით 2938769 ცალი. განაცხადების მიღების პერიოდში სულ შემოსულია 227 განაცხადი: 1 ტიპის 202 განაცხადი, 2 ტიპის 25 განაცხადი. აუქციონში ორივე ტიპის განაცხადების მიხედვით მიღებულია 24450 საპრივატიზაციო ბარათი. აუქციონის საშუალო კურსმა შეადგინა 39,35 აქცია ვაუჩერი. აუქციონის შედეგად გაყიდულია 962023 აქცია, რაც გასაყიდად გამოტანილი აქციების 32,74 პროცენტს შეადგენს.

პირველი საბარათო აუქციონის შედეგები იხ. მე-5 გვ.

გახსოვდეს აფხაზეთი

მიხო მორჩილაძე

## როგორ წავაგე ომი...

*"Tu natus es non tibi, non mihi, sed patrial*
(„შენ დაბადებული ხარ არა შენთვის და არა ჩემთვის, არამედ მამულისთვის")

ციცერონი



დასაწყისი იხილეთ №137-138-139-141-142-143

16.09.92 სოხუმი. დილა.

ზღვაზე ადრე იყნლება. შვიდი საათისთვის სამხედრო პოლიციის ბიჭებს მანქანით ზღვაზე ჩავყევი. რვისთვის კი, უკვე ნაცურავები და გაპარსული, სასადილოში ვიჯექი. შეიძლება, ვინმემ თქვას, გახურებული ომის დროს, რა ცურაობის ჟინი აგიტყდაო. არაფერი გასაკვირი არაა, ასეთ დროს უფრო გრძნობ სიცოცხლის წყურვილს. და ყველაფერი, სხვა შემთხვევაში ხშირად შეუმჩნეველი და ყოველდღიური, აქ განსაკუთრებულ სიხარულს განიჭებს. თუნდაც, სისხამ დილით ჩიტების გადაძახილი. მზის სხივების აელვარებასთან ერთად, მათი ჟივილ-ხივილის მატება. ამ დროს იშვიათი უნარი გეძლევა დღის დადგომის ყოველი წუთის, ყოველი მომდევნო წამის აღქმისა. სამწუხაროდ, ეს ნეტარება სულ ხუთიათ წუთს გრძელდება. მერე ალიონი ჩვეულებრივ დილად გადაიქცევა ხოლმე და ბუნებასთან ის წარმართული, მისტიური კავშირი გიწყდება. ცურვისას კი, განსაკუთრებით ადრიან დილით და ღამით, ისევ ხდები ჯერ რაღაც სხვანაირი, განსაკუთრებული. უფრო თბილი, უფრო მგრძნობიარე. და მერე ისევ ის რამდენიმე წამი დროისა და სივრცის შენში გაერთიანებისა. ისევ ნეტარება სხეულის და სულის სრული თავისუფლებისა...

საუზმის შემდეგ, გუშინდელი მოლაპარაკებისამებრ, მალხაზ კერესელიძემ გამოგვიარა მანქანით და აეროპორტში მიგვიყვანა. პირდაპირ ასაფრენ ზოლზე გამოვედით, ვერტმფრენების სადგომთან. ასაფრენად გამზადებულ მანქანასთან მფრინავი ჯიმი მაისურაძე და რამდენიმე სამხედრო დაგვხვდა, „სამშვიდობო ძალების" ოთხი წარმომადგენელი. სოსო ქუჩიშვილიც აქ იყო. ვერტმფრენი სავსე იყო სხვადასხვანაირი საკვები პროდუქტებითა და ტყვია-წამლის ყუთებით. მე,

იხილეთ მე—3 გვ.



კავკასიონი

სარედაქციო კოლეგია:
სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორი
მამუკა ფაჩუაშვილი
რედაქტორი
პაატა გეშაიძე
გივი ბოლოთაშვილი
დავით კახაბერი
შადიმან შამანაძე
ვახტანგ სალია
ბულხუნდა სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი
მაია ტორაძე

რედაქცია
პოლიტიკა, ინფორმაცია:
ია ანთაძე
დიანა ბაბროშვილი
ხათუნა რეხვიაშვილი
მიხეილ კვიციანი
დავით ნინიკაშვილი
ზაზა ფაჩუაშვილი
სპეციალური კორესპონდენტი შიდა ქართლში
გივი ბორცვაძე
„არილი"
რევაზ ხირაძე
ირმა არჩუაშვილი
რევაზ გოგია
„თვალსაწიერი"
თეურა გაშაძე
ირმა კახნიაშვილი
მაია შქლება
ნათია ფანჯიკიძე
სოსო ბარნაბიშვილი
სპორტი
კახა ფაჩუაშვილი
გოგა კვიციანი
იუმორი
ნინო სვანიძე
სარეკლამო სააგენტოს დირექტორი
დიმიტრი მოხულიშვილი
ფოტოილუსტრაცია
ჯაბარ ლომაძე
ტექნიკური დირექტორი
მამუკა ადამია
რედაქციის გამგე
ნატა სურმავა
მენეჯერი გავრცელების დარგში
ლერი ბველესიანი
მთ. ბუღალტერი
ციალა ლომიძე

კომპიუტერული ცენტრის უფროსი
თენგიზ წოლოყაშვილი
პროგრამისტი
თამაზ ჩხაიძე
ოპერატორები:
თამარ კერესელიძე
ელისო კალმახელიძე
ლალი კურდღელაშვილი
კორექტორები:
ქეთევან ფოფხაძე
ეთერ ვიბლიანი
მზიულა სირაძე

მისამართი:
თბილისი,
პეტრიაშვილის ქ.№7
ტელეფონი: 29-48-05

# რეფერენდუმზე ფიქრი დაიწყეს

პირველი გვერდიდან

ამ სახით იგი არ გავიდოდა. საკითხი არც რეფერენდუმით გადაწყდება და თუ ხმების ორი მესამედის იმედი გაქვთ, ადექით და მიიღეთო, — მიმართა სპიკერატს. სახელმწიფოს მეთაურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ მუშაობა შემთანხმებლურ კომისიაში გაგრძელებულიყო. რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხს, ის შეიძლება არ შევიდეს ახალ კონსტიტუციაში, მაგრამ იქ უნდა ჩაიწეროს, თუ რას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორია. შემდეგ პარლამენტმა მიიღო დადგენილება, გაგრძელებულიყო კონსტიტუციის განხილვა 10 აგვისტომდე, ხოლო საარჩევნო კანონზე 10-დან 17 აგვისტომდე ემუშავათ.

* * *

4 აგვისტოს პარლამენტის სხდომაზე დისკუსიის ძირითადი საგანი მთავრობის ფორმირების საკითხი იყო. თავდაპირველად განსახილველად წარმოდგენილ იქნა მთავრობის ფორმირების 8 ვარიანტი. ნ.ნათაძემ უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკელთა მიერ წარმოდგენილი ვარიანტი არ იყო გათვალისწინებული. ვადამის თქმით, ასევე ყურადღების გარეშე დარჩა მ.კოსტავას საზოგადოების წინადადება. ვ.ჟვანიამ შესთავაზა კოლეგებს, სარეიტინგო გამოკითხვით გამოევლინათ საბოლოო სამუშაო ვარიანტი. რ.ბერიძემ განმარტა, რომ განიხილავდნენ ყველა ვარიანტს ცალ-ცალკე.

გ.მუჩაიძე შემოვიდა წინადადებით, პარლამენტისა და პრეზიდენტის საკითხზე ემსჯელათ, რადგანაც ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პრესტიჟისთვის. ჭიოსელიანიც ანალოგიური მოთხოვნით გამოვიდა და სანამ მთავრობის ფორმირების საკითხზე გადავიდოდნენ, პრეზიდენტის უფლებამოსილების განსაზღვრა ჩათვალა აუცილებლად. ი.წერეთელმა — თუ ჯერ ეს საკითხები არ განიხილება, მე მოვუწოდებ ეროვნული ყრილობის მოწვევის მომხრე დეპუტაციას, არ მიიღონ მონაწილეობა სარეიტინგო გამოკითხვაში, რაც ხმათა ორ მესამედს ვერ მოაგროვებსო. ნ.ნადარაია დებატების შეწყვეტის მომხრე აღმოჩნდა, რადგანაც უამრავი სოციალური პრობლემა დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებსო. გ.ფაცაციამ გააფრთხილა პარლამენტი, რომ დებატებს, შესაძლებელია, ცუდი შედეგები მოჰყვეს. საკითხის რეფერენდუმზე გატანა კი შესაძლებელია აფხაზეთში და ოსეთში მოგვასწრონ.

მცირე შესვენებისა და კონსულტაციების შემდეგ ვ.რჩეულიშვილმა აღნიშნა, რომ შემოთავაზებული 8 ვარიანტიდან არც ერთი არ შეესაბამება კონსტიტუციის იმ ფორმას, რაზედაც უმრავლესობა მუშაობდა საკონსტიტუციო კომისიაში. მან პარლამენტს გააცნო უმრავლესობის გადაწყვეტილება, რომ ისინი სამივე ვარიანტს დაუჭერენ მხარს, რათა პარლამენტმა როგორმე მოახდინოს შეთანხმება, ხოლო თუ საკითხი გავა რეფერენდუმზე, მაშინ უმრავლესობა ძლიერი პრეზიდენტისა და ძლიერი პარლამენტის მომხრე იქნება. აასათიანი მიესალმა უმრავლესობის ასეთ გადაწყვეტილებას, მაგრამ გამოთქვა შიში, რომ ვერც ერთი წარმოდგენილი ვარიანტი ვერ მიიღებდა საჭირო რაოდენობის ხმას. ნ.ნათაძემ მოითხოვა რესპუბლიკელთა მიერ წარმოდგენილი ვარიანტის განხილვა, რადგანაც ყველა წარმოდგენილი ვარიანტი, მისი აზრით, საქართველოს დაღუპვის ტოლფასია. ერთმმართველობის ინსტიტუტზე ლაპარაკი მან ნაადრევად მიიჩნია, რადგანაც მთელი რიგი კითხვებისთვის პასუხს მოითხოვს. კერძოდ, გასარკვევია, რატომ აქვს საქართველოს დღეს მილიარდ დოლარზე მეტი ვალი მაშინ, როცა გამსახურდიას მმართველობის დასასრულის პერიოდში ქვეყანას არანაირი ვალი არ ჰქონდა? ასევე აფხაზეთის ომი ბევრ კითხვაზე ითხოვს პასუხს. რატომ იქნა რუსეთის ჯარი ჩაყენებული აფხაზეთში და შიდა ქართლში? რატომ არ ჩატარდა არჩევნები? რატომ არ დაიშალა „მხედრიონი"? რა უფლებამოსილებით ხდება სამხარეო გუბერნატორის დანიშვნა?

პარლამენტმა მოისმინა რესპუბლიკელთა და მერაბ კოსტავას საზოგადოების მიერ შემუშავებული ვარიანტები. საბოლოოდ, სარეიტინგო გამოკითხვაზე დადგა 4 ვარიანტი. გადაწყდა, რომ ვადამის მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისი შეჯერებულიყო გამარჯვებულ ვარიანტთან. საბოლოოდ ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა. ამის შემდეგ ბგულუამ თავისი თვალსაზრისი გააცნო პარლამენტს და აღნიშნა, რომ რეფორმების გატარებას ძლიერი ხელისუფლება სჭირდება, ამიტომ, მისი აზრით, პრეზიდენტი მთავრობის თავმჯდომარეც უნდა იყოს. ბგულუას წინადადებაც სარეიტინგო გამოკითხვაზე დადგა, მაგრამ ვერც მან მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა. ვ.ძაბირაძემ ფრაქცია „რესპუბლიკელების" სახელით გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ შემთანხმებლური კომისიის მუშაობაში ისინი აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას.

ბოლოს, გადაწყდა, პარლამენტს მუშაობა ორშაბათს განეახლებინა. მანამდე კი შემთანხმებლურ კომისიაში გაგრძელებულიყო მუშაობა და ეფიქრათ ასევე რეფერენდუმის ჩატარების ვარიანტებზეც...

გია ბაინდურაშვილი

## ეროვნული ყრილობის მოწვევის საინიციატივო ჯგუფს!

### გაზეთ „კავკასიონის" რედაქციას!

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ჩემი მონაწილეობა ეროვნული ყრილობის მოწვევის საინიციატივო ჯგუფში. გთხოვთ, ჩემი ხელმოწერა გაუქმებულად ჩათვალოთ.

პატივისცემით

პაატა კოლუაშვილი

3 აგვისტო, 1995 წ. ქ.თბილისი

## ფაქტები და მოვლენები

### ენერგეტიკული პრობლემების გადასაჭრელად

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, — რესპუბლიკის პრემიერმინისტრი ოთარ ფაცაცია 6 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს ეწვევა, რათა პირადად დაათვალიეროს მაღალი ძაბვის ხაზი კავკასიონი, რომელიც კავკასიონის ქედის გავლით საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემებს აკავშირებს.

\+ + +

4 აგვისტოს თურქმენეთიდან თბილისში დაბრუნდა სამთავრობო დელეგაცია საქართველოს პრემიერმინისტრის მოადგილის ზურაბ კერვალიშვილის მეთაურობით. დელეგაცია მოლაპარაკების აწარმოებდა თურქმენეთიდან საქართველოში ბუნებრივი გაზის მოწოდების აღდგენის თაობაზე. როგორც სააგენტოს კორესპონდენტი გვატყობინებს, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული მხარე აპირებს გაზის მოწოდებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკების დაწყებას ყაზახეთთან და რუსეთთან.

\+ + +

ჩვეულებისამებრ, პარასკევს, 4 აგვისტოს საქართველოს პრემიერმინისტრი ოთარ ფაცაციამ თბილგრესზე მიმდინარე სამუშაოების შესამოწმებლად გაემგზავრა. სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, მის გამგზავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე მინისტრთა კაბინეტის შენობას მიუახლოვდა ავტობუსი, რომელშიც თბილგრესის თანამშრომლები ისხდნენ. მათ პრემიერმინისტრს შეატყობინეს, რომ თბილგრესის პერსონალს 8 თვის განმავლობაში ხელფასი არ აუღია. საკითხი იქვე დადებითად გადაწყდა და მუშათა მეორე ნაწილმა, რომელიც თბილგრესის ტერიტორიაზე იყო გაფიცული, შეწყვიტა საპროტესტო აქცია.

### დააკავეს კონტრაბანდისტები

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრიდან სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, რეკეტის და ეკონომიური დივერსიების წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამ დღეებში თბილისში დააკავეს მახაჩყალაში მცხოვრები ამინატ ემირბეკოვა, ზემფირა ომარიევა და თბილისელი ჯულიეტა იაკუბოვა, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ 1 კგ ოქროულის გატანას ცდილობდნენ. გარდა ამისა, ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მახაჩყალის მკვიდრთ ჩამოართვეს 19 ცალი ბრილიანტებით შემკული ოქროს ნაკეთობა. მიმდინარეობს გამოძიება.

### გამაფრთხილებელი აქცია

გუშინ რესპუბლიკის პროკურატურასთან ტრანსპარანტებით გამაფრთხილებელი აქცია მოაწყო კრწანისის რაიონის დასუფთავების სამსახურის 60-მდე თანამშრომელმა. როგორც სააგენტოს კორესპონდენტს აქციის მონაწილეებმა განუცხადეს, ქალაქის მერის განკარგულებით დასუფთავების სამსახური გადაეცა ფირმა „ჭორჭიანტრანზოილს", რომელიც მათ საკუთრად ითვლებოდა. აქციის მონაწილეთა აზრით, ეს უკანონო გადაწყვეტილებაა, რადგან 1990 წ. ეს სამსახური თანამშრომლებს უკვე შესყიდული ჰქონდათ, როგორც საიჯარო მეურნეობა. „ჩვენ ქუჩაში გვყრიან, ქალაქის მერი, რომ არა მატერიალური დაინტერესება, ამ განკარგულებას არ გამოსცემდა", — აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა.

როგორც დასუფთავების სამსახურის დირექტორმა რომან კეჟერაშვილმა განაცხადა, იგი შეხვდა გენერალური პროკურორის მოადგილეს — ანზორ ბალუაშვილს, რომელიც დაჰპირდა, რომ შეისწავლის საკითხს და ყველაფერს გადაწყვეტს კანონის გათვალისწინებით. „სხვა შემთხვევაში ჩვენ იძულებულნი გავხდებით, ისევ მოვაწყოთ მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რათა გაიმარჯვოს სამართალმა", — დასძინა დირექტორმა, რის შემდეგაც აქციის მონაწილენი დაიშალნენ.

აქციის მონაწილეთა ტრანსპარანტებზე ეწერა: „პროკურატურის მესვეურებო! არ დაუშვათ კოლექტივის ქონების მითვისება მერიის მაფიის მიერ".

### „ზვიადის პარტიის" მოწოდება

სრულიად საქართველოს „ზვიადის პარტიამ" გუშინ გაავრცელა მოწოდება საქართველოს წვეჩამდელებისადმი, რომელშიც აღნიშნავენ, რომ ქართულ ჯარში, დღეს შექმნილია ჯარისკაცებისთვის ყოვლად აუტანელი პირობები, ხოლო სახელმწიფოს მეთაურს ქართული ჯარი, რუსის ჯართან ერთად, სჭირდება საქართველოს წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებენ ქართველ ყმაწვილებს, უარი თქვან, როგორც თავად უწოდებენ, ანტიქართულ ჯარში სამსახურზე და შექმნან სახელმწიფოებრივი ძალადობისგან დაცვის ანტისამხედრო ორგანიზაციები საქართველოს გენოფონდის გადასარჩენად.

### გაემგზავრებიან ამერიკაში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, 1996 წ. სექტემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილია სამხედრო მანევრები ყველა იმ ქვეყნის მონაწილეობით, რომლებიც შეუერთდნენ ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის", მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მანევრებზე მიწვეულები არიან ქართველი სამხედროები (ერთი ასეული), ისინი ობიექტური მიზეზებით ვერ შეძლებენ ამერიკაში გამგზავრებას, როგორც სააგენტოს კორესპონდენტს შეატყობინეს, საქართველოდან ამერიკაში გაემგზავრება რამდენიმეკაციანი სამხედრო ჩინოსანთა დელეგაცია.

მიმდინარე წლის სექტემბერში აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ ჯონ შალიკაშვილის მიწვევით ამერიკაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრება საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე.

იპრინდა



საქართველოს პარლამენტის აპარატი და რესპუბლიკის პროკურატურა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი

გივი ამბერკის ძე მეგრელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## გივი მეგრელიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი გივი ამბერკის ძე მეგრელიშვილი. პრეზიდიუმის შეწყალების განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობის მთელი 20 წლის მანძილზე იგი თავდადებით და უშწიკვლოდ ემსახურებოდა მინდობილ საქმეს.

ჩვენ, მის ყოფილ თანამშრომლებს, არასდროს დაგვავიწყდება ბატონი გივის მუდამ ღიმილიანი სახე, კეთილმოსურნეობა. ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა, ოპტიმიზმის, კაცთმოყვარეობის, სიყვარულის ატმოსფეროს ქმნიდა, მასთან ურთიერთობა ყოველთვის სიხარულს გვანიჭებდა, მუდამ მზად იყო დახმარების ხელი გაეწვდინა მოყვასისთვის.

წავიდა ჩვენგან კაცური კაცი, ახლობლებს და მეგობრებს კი დაუტოვა ტკივილიანი განცდა იმისა, რომ კიდევ ერთი კეთილშობილი, სიკეთით აღსავსე, საყვარელი ადამიანი გამოაკლდა ამ წუთისოფელს.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო
საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტრო
საქართველოს იურისტთა კავშირი

# როგორ წავაგე ომი...

პირველი გვერდიდან

გოგი გიორგობიანი, გოგი ცაგარელი და ცხრა ოფიცერიც ყუთებზე დავსხედით. ერთმა კოხტად გამოწკეპილმა, შავულვაშა ოფიცერმა შემოგვხედა და იკითხა: „ეს კაცი ბატონი მიხო მორჩილაძე ხომ არ არისო?“ — ახეა-მეთქი. — ვერ მიცანით?..

აღმოჩნდა ნიკო თათარაშვილი, გვარდიელი, ჯიმი მაისურაძის ავიაფრთის უფროსი ლეიტენანტი, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან. ნაომარი, ნაკატორღალი მიხეილ თათარაშვილის შვილი.

ამ ორიოდე წლის წინ ბატონი მიხეილის ცხოვრებისეულ ფაქტებზე დაყრდნობით მე კინოსცენარი დავწერე; ძალზე სწრაფად, იმავე თვეში დაამტკიცა სამხატვრო საბჭომ და მეორე თვიდან ფილმის გადაღებაც დავიწყეთ. „Среди людей чужих нет!..“, ასე დავარქვი მაშინ ჩემს დოკუმენტურ მოთხრობასაც და ფილმსაც, რომელიც გოგი დოლიძემ გადაიღო... ამბავი კი, რამაც ასე განმაცვიფრა და ფილმის გადაღება შემაძლებინა, ცოტა გრძელია...

საქართველოში ახალჩამოსული ვიყავი. მაშინ ბევრს ვმუშაობდი პუბლიცისტიკაში, მაგრამ ხშირად ხდებოდა ისე, რომ ჩემს წერილებს რედაქტორები არც უკან მიბრუნებდნენ, არც ბეჭდავდნენ. თავიდან ასეთი პოლიტიკისა არ მესმოდა. მერე ორმა მთავარმა რედაქტორმა გულახდილად მითხრა: — კარგი, დავბეჭდავ შენს წერილს, მაგრამ ერთი პირობით, თუ გარანტიას მომცემ, რომ, რედაქტორის სავარძელზე აღარა მაქვს პრეტენზია, პატარა სკამს მაინც დამიდგამენ რედაქციაშიო... ხომ არ გგონია, რომ რადგან „პერესტროიკაა“, ვინმე ან რამე შეიცვლება. ეს შენნაირების გამოსავლინებლად არის გაკეთებულიო...

პარადოქსული რამ ხდებოდა. ჩემს წერილებს, რომლებშიც მწვავედ იდგა ეროვნული საკითხები, საკავშირო პრესა ბეჭდავდა, საქართველოსი კი — არა. ერთხელ, ერთ ჩემს დიდ წერილს, რომელიც „ლიტერატურნაია გრუზიამ“ დასაბეჭდად მოამზადა, წითელი ფანქრით გადახაზა და ზედ დიდი ასოებით დააწერა: „ეს ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა ლიტერატურაა“, მაშინ ცნობილმა პუბლიცისტმა და რეცენზენტმა ედუარდ ელიგულაშვილმა. ეს შიდა რეცენზია მე ჟურნალის ერთ-ერთმა რედაქტორმა საიდუმლოდ მაჩვენა. ორი დღის შემდეგ, მე მოსკოვში გავფრინდი პუბლიცისტთა საკავშირო სემინარზე, როგორც ჟურნალ „ლიტერატურნაია უჩობაში“ დაბეჭდილი პრემირებული ნაწარმოების ავტორი.

სემინარზე მოეწყო რესპუბლიკური პრესის მიმოხილვაც. სიტყვით გამოვიდა გაზეთ „იზვესტიას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. ითქვა, რომ რესპუბლიკებში პუბლიცისტური აზროვნება ჯერ ჩანასახის მდგომარეობაშიაო და ამ ნათქვამის საილუსტრაციოდ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოწერილი ნახევრად სასაცილო, ნახევრად სატირალი ლიტერატურული კოლაჟი გააჩვენეს, რასაც „პარტიული ჰიმნოგრაფია“ უწოდეს. მიმოხილვაში უმთავრესად მასალები ამოკრებილი იყო სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და უზბეკეთის პრესიდან. მე საპასუხო სიტყვით გამოვედი და ვთქვი, რომ ქართული საბჭოთა პრესა ყოველთვის დამოკიდებული იყო მოსკოვზე, და უფრო შებოჭილი, ვიდრე საკავშირო. ამ არტახებს ისევ მოსკოვი უკვეთავდა და რესპუბლიკებში თავისი ემისრებით განაგებდა იდეოლოგიას. ამის მაგალითი აქვე მაქვს-მეთქი, ვთქვი და „იზვესტიის“ რედაქტორს მისივე გაზეთის სპეცკორესპონდენტის რეცენზენტ ელიგულაშვილის ხელწერა ვაჩვენე. — თქვენ ძნელი ცხოვრება გელით, თუმცა მინდა ვთქვა, რომ ამ ცხოვრებისა მე ახლავე მშურს კიდეცო, — მიწინასწარმეტყველა მან. განსაკუთრებული რისხვა კი დავიმსახურე ბიჭვინთაში, შავი ზღვისპირეთის ლიტერატორთა სემინარზე გამოსვლით. თემა მოდური იყო, — „გარდაქმნა, საჯაროობა და დემოკრატია თანამედროვე პუბლიცისტიკაში“. 1988 წელი, მაისის ბოლო დღეები. როგორც ყოველთვის ასეთ სემინარებზე, უცხოელები აქტიურობდნენ: ჩეხები, გერმანელები, პოლონელები, უნგრელები. რუსებსა და ბულგარელებს კი ერთნაირი საბჭოური გამოსვლები ჰქონდათ. პირველი უსიამოვნება ბიჭვინთის ტაძრის დათვალიერებისას შემემთხვა. იქაურმა ექსკურსიამძღოლმა, რუსმა გოგონამ შენობა აფხაზური არქიტექტურის ძეგლად გაგვაცნო. მასზე არსებული დამწერლობა კი ძველაფხაზურად. მე უნგრელებს ვათხოვნინე, რომ მას ეთარგმნა წარწერა. ექსკურსიამძღოლმა გვიპასუხა, რომ აფხაზი მეცნიერები ამ ტექსტებს სწავლობენ და მალე შესაძლებლობა ექნებათ სრულად გაშიფრონ ძველაფხაზური. მაშინ მე ვთხოვე სემინარის მონაწილე აფხაზ ლიტერატორებს, დაეხმარებოდნენ ექსკურსიამძღოლს. აფხაზმა ლიტერატორებმა თქვეს, რომ ჩემგან ეს პროვოკაცია იყო. — დიახ, ასეა, ეს ანტიქართული პროვოკაციაა, რაც ყოველდღიურად მეორდება, — ვთქვი მე, — რადგანაც ჩემმა აფხაზმა კოლეგებმა შესანიშნავად იციან, რომ ბიჭვინთის ტაძარი ქართველების აგებულია, და ეს ტექსტიც, შესატყვისად, ქართულია... თუ გნებავთ, წაგიკითხავთ-მეთქი. აფხაზებს ხმა არ ამოუღიათ. ექსკურსიამძღოლმა ჩაილუღლუღა, მე ჩვენი სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტექსტის მიხედვით მიმყავს ექსკურსია, შემდეგისთვის თქვენს შენიშვნას გავითვალისწინებო... იმავე საღამოს ჩვენზე მოჩენილი სუკ-ის წარმომადგენლისგან შემჩნევა მივიღე. ქართველმა კაცმა მითხრა, — არაა საჭირო ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებაო... მეორე დღეს სემინარზე მე წავიკითხე მოხსენება თემაზე: „საჯაროობა, გარდაქმნა, ნაციონალური საკითხი“, სადაც დასკვნის სახით ასეთი რამ ვთქვი, რომ თუ გვინდა ნამდვილი საჯაროობის დადგომა, უპირველესად უნდა შეგვქმნათ ВЧК-НКВД-КГБ-ს ნამდვილი ისტორია და გავაუქმოთ სუკ-ი იმ სახით, როგორც დღესაა, რადგანაც სუკ-ი იმპერიის მსახურია და რამეთუ საბჭოთა კავშირი უნდა დაიშალოს, სუკ-ს ფუნქცია დაკარგული აქვს-მეთქი.



საბჭოთა იმპერია, როგორც მანამდე არსებული ყველა სხვა იმპერიები, დაიშლება, — ვთქვი მე, — არსებობს დაშლის ორი გზა — ზემოდან, დეკრეტებით, და ქვემოდან, რევოლუციით. დეკრეტული გზა რუსეთისთვის უკეთესია, რადგანაც რევოლუციის გზა — ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, უპირველესად რუსეთს დაშლის და გაანადგურებს, როგორც იმპერიის საფუძველს. ამიტომაც რუს კოლეგებს მოვუწოდებ აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმპერიის დაშლაში, როგორც რუსეთის გადარჩენის რეალურ ქმედებაში-მეთქი. ეს არასოდეს მოხდება, — იყვირა ვიღაცამ დარბაზიდან. — ბატონებო, ეს უკვე მოხდა! უფრო სწორად თქვენს წინ ხდება, ამის დასტური თუნდაც ჩემი გამოსვლაა!.. შეეცადეთ, თუ ხელს არ შეუწყობთ, წინააღმდეგობაც მაინც არ იქცეთ, თორემ ისტორია გადაგქელავთ-მეთქი... საბოლოოდ, სიტყვა იმით დავამთავრე, რომ იმპერიის რღვევის დასაჩქარებლად საჭიროა იმპერიის იდეოლოგიის სიმბოლო — ლენინი გამოვიტანოთ მავზოლეუმიდან და ადამიანურად დავმარხოთ-მეთქი...

სემინარზე ზოგი კიოდა, ზოგი ტიროდა. რამდენიმე გადამეხვია და გადამკოცნა. ვახუშტი კოტეტიშვილმა კი კაფია ჩამიწერა უბის წიგნაკში...

დრო როდესაც გადის და შენს ნამოქმედარს იხსენებ, იშვიათად თუ რაიმეს მოიწონებ ხელაღებით... რასაკვირველია, მაშინაც, ბიჭვინთაშიც ჩემი გამოსვლა სემინარზე ფაქტიურად პოპულისტური დემარში იყო, ირგვლივ გამეფებული უძრაობის შესანჯღრევად, ასამოქმედებლად...

დიდად სამწუხაროდ, უამრავ ქართველს პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი აზროვნება ძალზე დაბალი აღმოგვაჩნდა. გავიხსენოთ, თუნდაც, ცხრა აპრილის შემდგომი პერიოდი. ღვინიან ბოთლს რომ შეანჯღრევ, და ლექი ზემოთ წამოვა, შეამღვრევს, წაბილწავს სასმელის სიკამკამეს. პროვინციამ კი არა, პროვინციალიზმმა, ყველაზე საზიზღარი გაგებით, გაჟღინთა ქალაქი. გამოთაყვანებული, უაზრო სახეები. ყალბი პათეტიკა, ლეიბის გვარდიელები და პირაკერილი მოშიმშილენი. ქარხნებს, საწარმოებს, მატარებლებს აჩერებდნენ ისინი, ვისაც არასოდეს სიამოვნება არ მიუღია საკუთარი შრომით. უსაქმურობამ, უზნეობამ, ამბიციურმა უსახურობამ წალეკა საქართველო.

სამწუხაროდ, ამ ეროვნული ისტერიის გაღვივებაში მეც, როგორც უმრავლესობას, პატარა წვლილი მიმიძღვის. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ძეგლების დამსხვრევა და ქუჩების აბრების შეცვლა ათასწილ უფრო იოლია, ვიდრე ელემენტალური შრომა. მაგრამ, ეტყობა, ბავშვურ მოწოდებებს, — „სოფლის შენებას რა უნდა“... ქართველი ინტელიგენციაც ვერ ასცდა და „ვაშას“ ძახილში КГБ-ს ხელით შეთითხნილ კერპებთან დაჩოქებაში, ყალბი და იოლი გზების ძიებაში ჩვენგანაც ლომის წილი დაიხარჯა. ამას გარდა, ჩვენ ხომ გვეშინოდა!.. თაობები რეპრესიებში [illegible]ბოდნენ და კვდებოდნენ. ჩემი ოჯახი დღემუდამ რუსული იმპერიის, ბოლშევიზმის იდეალებს ებრძოდა. პაპაჩემი, იოსებ იმედაშვილი, არა მარტო დიდი მწიგნობარი, არამედ შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი წინამძღოლიც იყო, და თავისი ვაჟკაცური შემართებით გურია გადაარჩინა დარბევას. როდესაც იქ საეგზეკუციო ჯარი გაიგზავნა, იოსებ იმედაშვილმა გარე კახეთში მებრძოლები შეკრიბა, თბილისში ჩამოიყვანა და მეფისნაცვალს ულტიმატუმით მიმართა, ან გურიის აკლებაზე ხელი აეღო და ჯარი დაებრუნებინა ან... გურია გადარჩა! სამწუხაროდ, საქართველოს სოციალისტებმა მაშინ მხარი არ აუბეს იოსებ იმედაშვილს! ისინი მსოფლიო რევოლუციებზე ბოდავდნენ და პატარა საქართველოს ინტერესები ნაკლებად აღელვებდათ. მერე პაპაჩემი კატორღაში მოხვდა. იმპერიის რეპრესიები არ ასცდათ ბიძაჩემს შალვა იმედაშვილს და შემდეგ ჩემს უფროს ძმას, ექიმ ამირან მორჩილაძეს, რომელმაც ათ წელზე მეტი დაჰყო „გულაგში“ და რაღაც სასწაულით გადაურჩა დახვრეტას... ოჯახური ტრადიცია არც მე დამირღვევია. 1968 წელს საბჭოთა ჯარში ყოფნისას სამხედრო მიტინგზე გამოვედი ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარის შესვლის წინააღმდეგ... მაგრამ, ეტყობა, გაცილებით ადვილი ყოფილა გარეშე მტერთან ბრძოლა, ვიდრე... საკავშირო სუკ-ი შესანიშნავად ფლობდა მაშინ სიტუაციას. მათ თავალ წამოსწიეს წინ ყველაზე რეგვენი, არაფრისმქმნელი ადამიანები. მაფიქრალ კაცებს კი სუკ-ის აგენტობა და ჩუმი კომუნისტები დაარქვეს. ამით მრავალი დააშინეს. ბევრს უკვე პანიკურად ეშინოდა, ცუდი სახელი არ დაერქმიათ მისთვის, თუ ხშირად საეჭვო და აშკარად პროვოკაციულ ლოზუნგებზე, გამოსვლებზე კრიტიკულ სიტყვას იტყოდა. პატივმოყვარეობამ და სახელის გატეხვის შიშმა დაამუნჯა ინტელიგენცია. ქართული ეროვნული დროშის ფრიალით კი ხდებოდა ათასგვარი სიბილწე, უზნეობა... ხმის ამომღებნი ან განადგურდნენ, ან ფარდას მოეფარნენ. დღეს, როცა ნაწერებს ვათეთრებ, 10 დეკემბერია, 1994 წელი. დღეს ქაშუეთის მიწას მიაბარეს გია ჭანტურია. გია იმპერიის სამსხვერპლომ შეიწირა. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ქართველების ხელით. გიამ ცოტა იმაზე მეტი თქვა, რაც „დაშვებული“ იყო. ვიღაცეებისთვის საშიში გახდა!.. ეტყობა, მკვლელობის დამკვეთებმა რეალურად შეაფასეს საქართველოს დღევანდელი ჩიხიდან გამოსასვლელი გიასეული გზა და საუკეთესოდაც სცნეს... მე არ მომწონდა ჭანტურიას ზოგჯერ გაუმართლებელი მაქსიმალიზმი. მკვლელებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი...

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# გულახდილობის დრო

პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები მოგვიახლოვდა და მოჩვენებითი თუ ნამდვილი გულახდილობის დრო დაუდგა საქართველოს.

ზოგი გულახდილად ამბობს, რომ არ იტყვის უარს საქართველოს პრეზიდენტობაზე.

ზოგი სხვადასხვა ნიღბით, მაგრამ მაინც ამჟღავნებს სურვილს — საქართველოში თავად იყოს ხელისუფალი, რომ პასუხი ვერავინ მოსთხოვოს ჩადენილ თუ ჩასადენ ბოროტმოქმედებათა გამო.

ზოგი წინააღმდეგია არჩევნების ჩატარების.

ზოგი — კონსტიტუციის მიღების.

ზოგი ყოველივე ამას პირდაპირ ამბობს.

ზოგი — არა.

ზოგი გულწრფელად ფიქრობს, რომ თავისი პოლიტიკური თამაშებით სიკეთე მოაქვს საქართველოსთვის.

ზოგმა იცის, რა ბოროტებასაც სჩადის.

ზოგმა იცის, რომ სხვის ნებას ასრულებს.

ზოგმა — არა.

მაგრამ ამ პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ბატალიებს თავისი მაყურებელი, მსმენელიცა თუ მკითხველიც ჰყავს, რომელიც ხედავს ამ ყველაფერს, რომელიც ისმენს ამ ყველაფერს და რომელიც კითხულობს ამ ყველაფერს...

და ხვდება იმასაც, რაც გულახდილობის დროსაც კი ბოლომდე არ ითქმევა.

ხალხის უმრავლესობა, უბრალო ადამიანები ჰყავს მხედველობაში.

+ + +

ჩვენი კეთილდღეობისთვის ამ ვაიმებრძოლებს არც აწუხებთ ეს ყველაფერი. მერე რა, ვინც გინდა გვიცქიროს, ვინც გინდა გვისმინოს, ვინც გინდა წაგვიკითხოს, ვინც გინდა მიგვიხვდეს ვირეშმაკობას, ჩვენ მაინც ჩვენსას გავაკეთებთო, ჩვენსასო, მხოლოდ ჩვენსასო.

სწორედ ამიტომ, ეტყობა, ჩვენი გადასაწყვეტი იქნება მთავარზე უმთავრესი სახელმწიფოებრივი საკითხი — კონსტიტუციის ძირითადი პუნქტების მიღება, რადგან მე მეეჭვება ჩვენმა პარლამენტმა შესძლოს ეს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმე.

თუმცა, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ მაინც მგონია, რეფერენდუმზე მოხდება ეს ყოველივე, რეფერენდუმზე, რომელიც კარგა დიდი თანხა დაუჯდება ჩვენს გაღატაკებულ ქვეყანას და ალბათ, აფხაზეთსა და შიდა ქართლში პოლიტიკურ გართულებებს გამოიწვევს.

მოკლედ, არის ძალა ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, რომელსაც გულახდილად და დაუფარავად არ უნდა დაწყნარდეს საქართველო.

გულახდილად და დაუფარავად არ უნდა ძლიერი ხელისუფლება.

გულახდილად და დაუფარავად არ აწუხებს ჩვენი აზრი ამ ყოველივეზე.

დღეს ჩვენ ვართ და ჩვენი გაგვაქვსო.

ასეთი ძალა ყველგან არის, იქითაც და აქეთაც.

+ + +

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ჯვარი არ დაგვიწერია არც უმრავლესობაზე და არც უმცირესობაზე.

მათ დეპუტატობის ვადა რამდენიმე თვეში გასდით, ჩვენ კი, ხალხი, მუდმივად ვრჩებით ამ ქვეყანაში, ხალხი, რომელსაც არ ფული აქვს ნაშოვნი ქვეყნის უბედურობის ხარჯზე და არც სიმართლის ეშინია და ისევ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ქვეყნისა და თავად ჩვენი ბედი.

საქართველოს ბედი და მისი კეთილდღეობა კი ყოველთვის ძლიერ ხელისუფლებასა და ძლიერ ხელისუფალს უკავშირდებოდა.

გახედეთ ისტორიას...

იდეალური საქართველო ჩემთვის დავით აღმაშენებლის საქართველოა, იდეალური მმართველი ქვეყნისა — დავით აღმაშენებელი და იდეალური მოდელიც სახელმწიფოს მოწყობისა — მონარქია, პარლამენტით შეზღუდული.

მაგრამ დღეს ჩვენთვის ეს შეუძლებელია.

საქართველოს მონარქი საქართველოში უნდა იყოს დაბადებული და გაზრდილი.

სანამ ეს იქნება, ძლიერი მმართველი, ძლიერი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს საქართველოს, ძლიერი პიროვნება, რომელიც არამხოლოდ დაიცავს კანონს, არამედ თვითონაც დაემორჩილება მას.

გაიხსენეთ ომისშემდგომი საფრანგეთი.

სანამ დე გოლის დიდი მცდელობით ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი არ ჩამოყალიბდა ძლიერ მმართველ ორგანოდ, მანამდე დაქსაქსულ ქვეყანას არაფერი ეშველა.

მე მგონი, საფრანგეთს დემოკრატია სხვისგან არ ესწავლება.

სწორედ დე გოლმა გადაარჩინა საფრანგეთი და აქცია იგი არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს უძლიერეს და უმდიდრეს ქვეყნად.

+ + +

პარლამენტში ასი დეპუტატი ხომ მაინც იქნება.

არ შეიძლება საქართველო და ქართველი ასმა კაცმა მართოს.

ეს არაა ჩვენს ეროვნულ ხასიათში.

თანაც, ჩვენ ხომ ვნახეთ, რა დაემართა საპარლამენტო რესპუბლიკას 1921 წელს.

ნახეთ პარლამენტის სხდომათა ოქმები, მთავრობის და პარლამენტის არათანმიმდევრული გადაწყვეტილებანი.

ერთმა ნებამ ვერ გააერთიანა მაშინ ქვეყანა.

ჩვენი სახელმწიფოს დაცემის ერთი მიზეზი ესეც გახლდათ.

+ + +

გულახდილია ბევრთა შეფარული თამაშების ფონზე „მხედრიონის“ პოლიტიკური ძალაუფლების კანონიერად ხელში აღებისთვის გადადგმული ლოგიკური ნაბიჯიც — „მხედრიონის“ პოლიტიკურ ორგანიზაციად გამოცხადება.

ადრე თუ გვიან ეს უნდა გაკეთებულიყო და თქმულიყო ერთი უმთავრესი მიზეზის გამო: ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოში, ფაქტობრივად, სოციალური რევოლუცია მოხდა, სახელმწიფო თუ პირადი ქონება გადანაწილდა, უმრავლესობა გაღარიბდა, უმცირესობა გამდიდრდა. ამ გადანაწილებაში დიდი მონაწილეობა მიიღო „მხედრიონმა“.

შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტში აქტიურმა მონაწილეობამ, მათში გაღებულმა მსხვერპლმა „მხედრიონის“ მესვეურთ და უბრალო წევრთ მათივე აზრით, მისცა მორალური უფლება ქონების გადანაწილების დროს „თავისი კუთვნილი წილი“ მიეღოთ.

ასე გაჩნდა სახელმწიფო დაწესებულებებსა, საწარმოებსა თუ კერძო სტრუქტურებში „მხედრიონის“ წარმომადგენლები.

ზოგან მათი მადლიერნი არიან მათი ახალგაზრდული ენერგიისა და თავდაუზოგავი შრომის გამო, ზოგან უკმაყოფილონი, მათი დაუოკებელი მადის გამო. რომელიც მეტია და რომელი რომელს გადასწონის, სად უკანონობაა და სად არა, ეს უკვე თავად „მხედრიონისა“ და შესაბამისი ორგანოების გასარკვევია.

ერთი ფაქტი კი უდავოა: ამ ხალხს, ამ ახალ სოციალურ ფენას თავისი პოლიტიკური ჰერი უნდა, პარლამენტსა თუ ხელისუფლებაში მისი მდგომარეობისა და მისი ქონების კანონიერი დაცვისთვის.

ასეთი დამცველნი მხოლოდ დეპუტატები შეიძლება იყონ.

ამიტომ დაიბადა თავის დროზე ორგანიზაცია „არჩევნები“.

მაგრამ „არჩევნები“ მაინც შეფარული გზა იყო ხელისუფლების მოპოვებისა. სხვისი ხელით, სხვისი გონებით საკუთარი ინტერესების დაცვისა, რაც არცთუ საიმედო გზაა. კაცმა არ იცის, „სხვა“ როდის რას იზამს.

საკუთარი თავი თვითონ უნდა დაიცვა.

ამიტომაც იქცა „მხედრიონი“ პოლიტიკურ ორგანიზაციად. ახლა მას უკვე ორი ფრონტი აქვს გახსნილი არჩევნებში გასამარჯვებლად — „არჩევნები“ და „მხედრიონი“, მაგრამ, ალბათ, გამოიკვეთება მესამე გზაც — ალიანსი ამა თუ იმ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან.

და აქ ჩვენ ბევრი მოულოდნელობის მოწმენი შევიქნებით.

უნდა ითქვას, რომ ეს სერიოზული პოლიტიკური ძალა იქნება არჩევნებში: მათ აქვთ ფული, ისინი მასიურად არიან გაკონილნი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში და ომში დამარცხების მიუხედავად, შიდა ქართლისა თუ აფხაზეთში ბრძოლას პლუსში ითვლიან.

თუმცა, მოსახლეობა არც ბრმაა და არც ყრუ და ძარცვა-ყაჩაღობასა და ძალადობასაც ხედავდა და ხედავს, რომელიც „მხედრიონისა“ თუ „მაშველთა კორპუსის“ ამა თუ იმ წევრებსა თუ დაჯგუფებებს უკავშირდება.

მოკლედ, თუ „მხედრიონი“ და „არჩევნები“ მებრძოლი ბიჭების თავგანწირვასა და გმირულად დაღუპული ახალგაზრდების არდასავიწყებელ ფაქტორს იყენებს არჩევნების დროს, ასევე ვერდასავიწყებელი ძალადობის მძიმე ტვირთიც უნდა იტვირთოს და პასუხი აგოს ხალხის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

„მხედრიონი“ ახლა ემიჯნება „მაშველთა კორპუსს“, ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურას, რომელიც „მხედრიონის“ ოფიციალური ფორმაა და მეტი არაფერი. ასე რომ, პოლიტიკურ პარტიას, „მხედრიონს“ რეალურად ოფიციალური შეიარაღებული ძალაც გააჩნია „მაშველთა კორპუსის“ სახით. არჩევნების დროს ეს კანონსაწინააღმდეგო ფაქტი უდავოდ ითამაშებს თავის დამღუპველ როლს.

ორმაგობა ბიოგრაფიისა არის „მხედრიონის“ ძლიერი და სუსტი მხარე, ერთი კია, მე დღეს ძნელად მეგულება რაიმე სერიოზული ძალა, რომელსაც ბიოგრაფიული ორმაგობა არ ახასიათებდეს — იქნება ეს გვარდია, იქნება ეს პოლიცია, თუ ესა თუ ის პოლიტიკური პარტია. უმეტესობა, მეტნაწილად, დისკრედიტირებულია თავის ხელმრუდ და მოძალადე წევრთა მიერ.

ერთი კია, ზოგს გმირობა და თავგანწირვა ნაკლები აქვს, ზოგს ყაჩაღობა მეტი... ეს უკვე თავად ხალხმა უნდა განსაზღვროს.

პირადად მე, გულახდილად რომ ვთქვა, ვერასოდეს ვერ მივცემ ხმას იმ კაცსა და იმ ძალას, რომელიც შეიძლება შეეგუოს ძალადობას, ძარცვას, ყაჩაღობას, სხვათა ინტერესების ხარჯზე პირადი კეთილდღეობის მოპოვებას, სხვათა ხარჯზე გამდიდრებასა და გაზულუქებას. თავად ყაჩაღებსა და მძარცველებზე უკვე აღარას ვამბობ.

+ + +

ყაჩაღებსა და მძარცველებზე გამახსენდა.

გულახდილად აცხადებენ თავის სურვილს ხელისუფლებაში მოსვლისა ორთოდოქსი კომუნისტებიც. მათ საბჭოთა კავშირის აღდგენაც სურთ, კომუნისტურ იდეოლოგიასთან და, აქედან გამომდინარე, საკონცენტრაციო ბანაკებთან დაბრუნებაც.

განა ბოლშევიკებმა თავის დროზე ყაჩაღობითა და მოღალატეობით ნაშოვნი ფულით, ტყუილითა და ძალადობით არ მოიპოვეს ძალაუფლება?

რა მივიღეთ სამაგიეროდ?

მილიონობით ნაწამები და დაღუპული ადამიანი, დაკარგული დამოუკიდებლობა, ეროვნული ღირსების შელახვა და გადაგვარების უეჭვო პერსპექტივა.

ვის უნდა ეს?

+ + +

გულახდილად გვახვევენ თავს ნებას „სტალინელებიც“, სტალინის ძეგლების აღდგენითა და სტალინის პროპაგანდის ფანატური მომაბეზრებლობით.

ისევე, როგორც თავის დროზე ზემოდან არაოფიციალურად ნებადართული ძეგლების ნგრევა გამაღიზიანებელი იყო და მომავალ ძალადობათა საწყისი, ასევე, ეს ძალისძალად, ხალხის, ამა თუ იმ ქალაქის მცხოვრებთა უკითხავად, სტალინის ძეგლების აღდგენა მომავალ სერიოზულ გართულებათა საწყისია.

მე არ მესმის, ხელისუფლება აქ რატომ არ ამყარებს წესრიგს.

ძეგლის მოხსნასა და დადგმას, ქუჩისა თუ ქალაქის სახელთა დარქმევასა თუ გადარქმევას თავისი წესი და რიგი აქვს და იგი დაცული უნდა იყოს.

სტალინს საქართველოსთვის არ მოუტანია არავითარი სიკეთე, თორემ რუსეთის იმპერიისთვის იგი დიაღაც რომ დიდი მიწათშემკრები და სახელმწიფოს აშენებელი იყო და მისგან მივიწყებულ საქართველოში მისი კულტის ასე ძალით თავზე მოხვევა — არანაკლები ძალადობაა ადამიანთა, ფიზიკურ ტანჯვა-წამებაზე.

გავუწიოთ ანგარიში მილიონობით მსხვერპლთა შთამომავლობასაც, ამ ქვეყანაში მათაც აქვთ ცხოვრებისა და სიტყვის თქმის უფლება.

და ჩვენი პიროვნული კომპლექსების გამო ნუ ვეტმასნებით სტალინის სახელს, ნუ ვაქცევთ მას ჩვენი მეტად საეჭვო პოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად.

ეს მის ხსოვნას უდავოდ შეურაცხყოფს.

და ბოლოს, ჩვენ გულახდილად უნდა ვუთხრათ ერთმანეთს — როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ და ვისთვის ვაშენებთ.

ძალადობასა და პიროვნულ ეგოიზმზე დამყარებულ სახელმწიფოს ამა თუ იმ კლანის, ამა თუ იმ პარტიის, თუ ამა თუ იმ პიროვნებისთვის თუ სოციალურ ჰარმონიასა და ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობილ ძლიერ, დემოკრატიულ და მდიდარ ქვეყანას, სადაც ყოველ ადამიანს, როგორც პიროვნებას, ექნება თავისუფალი არჩევანის საშუალება, ექნება გარანტია თავისუფალი ცხოვრებისა, ექნება ღირსების გრძნობა და კანონთმოშიშობაც, რადგან ეცოდინება, რომ კანონთა დარღვევა არასოდეს არ იქნება საფუძველი ამ ქვეყნის შენებისა და მართვისა და თუნდაც ერთხელ მორალური თუ სისხლის სამართლის კანონთდამრღვევი არასოდეს მოვა ხელისუფლების სათავეში.

**კობა იმედაშვილი**

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## № 10 აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1995 წ.6 სექტემბრიდან 19 სექტემბრის 17 საათამდე 1 აქციის ნომინალური ღირებულება 1000 კუპონს 1,46 აშშ დოლარს. აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.**

| № | აუქც | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | პროცენტი საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავებული მიწის ფართობი —ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | 135 „იონი" (ზესტაფონის ელექტრომექანიკ.ქ.) | 49969 | 21000 | 42.026 | 30701.8 | 210-135 | ზესტაფონი, სადგ. სვირი. ტ. 53754, რკგზ. 327. | ვ.შარვაძე | 7,5 |
| 2 | X | 163 „მოგზაური" (სამტრედიის სამგზავრო ას.) | 100100 | 35500 | 35.465 | 51900.6 | 410-163 | სამტრედია, კოპალეიშვილის 17. | ჭ.სტურუა | 2,2 |
| 3 | X | 173 „გრანიტი" (ქუთ.ქვის დამამუშ.ქ-ნა) | 55679 | 20000 | 35.985 | 29239.8 | 480-173 | ქუთაისი, მშენებლის 8. | ბ.კახიძე | — |
| 4 | X | 214 „ნიგვზიანი" (ლანჩ. —ნიგვზიანის ჩაის ფ.) | 31773 | 11500 | 36.194 | 16812.9 | 300-214 | ლანჩხუთი, სოფ.ნიგვზიანი | იგუჯაბიძე | 3 |
| 5 | X | 223 „ეგრისი" (წალენჯიხის საწონი ფ-კა) | 60721 | 26000 | 42.819 | 38011.7 | 510-223 | წალენჯიხა, ქაჩელის მე-2 შესახ. | გ.ქირია | 3 |
| 6 | X | 237 „ყველკარაქი" (ზუგდ. ყველკარაქის ქ-ნა) | 49249 | 22000 | 44.671 | 32163.7 | 220-237 | ზუგდიდი, კიროვის 1. | ჭ.შენგელია | 1 |
| 7 | X | 260 „ბულატი" (საცდელ-ექსპერიმენტ. ქ-ნა) | 176818 | 84000 | 47.506 | 122807 | 230-260 | თბილისი, ბაღნარის 2-ა. | ზ.ბანძელაძე | — |
| 8 | X | 266 „გალანტი" (რ-ბ „საქგალანტერეა") | 115755 | 41000 | 35.42 | 59941.5 | 238-266 | თბილისი, ქიზიყის 24. | ლ.ჩქარეული | 1,25 |
| 9 | X | 168 „კოდა" (თეთრიწყაროს მეფრინვ.ფ-კა) | 839365 | 400000 | 47.655 | 584795 | 240-268 | თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ.კოდა | დ.ხალაძე | — |
| 10 | X | 269 „ზუგდიდკონსერვი" | 422469 | 200000 | 47.341 | 292398 | 220-269 | ზუგდიდი, თამარ მეფის 3 | ვ.ჭიქია | — |
| 11 | X | 281 „არომატი" (ჩოხატაურ. № 2 ჩაის ფ-კა) | 107653 | 49000 | 45.517 | 71637.4 | 540-281 | ჩოხატაური, მარის 50. | თოდრია | 6,1 |
| 12 | X | 304 „სამშენებლო ტრესტი № 9" (გორის) | 70382 | 25000 | 3552 | 36549.7 | 150-304 | გორი, ბესიკის 5, ტ.24567 | დ.მაჭავარიანი | 14,6 |
| 13 | X | 306 „ექსპრესი-92" (სადგ.თბ.საკვ.მრ.დ.კ-ტი) | 60311 | 23500 | 38.965 | 34356.7 | 233-306 | თბილისი, მევლეს 1, ტ.717821, 717465 | ო.ოსიყმიშვილი | — |
| 14 | X | 324 „ციცქა" (თერჯოლის სკ.ფ. — ციცქა") | 145980 | 69500 | 47.609 | 101608 | 260-324 | თერჯოლა, ბაიშვილის 4. | თ.ქოჩიაშვილი | — |
| 15 | X | 326 „ჩხარის მარანი" (თერჯ.ჩხარის ღვ.ქ.) | 71286 | 33000 | 46.293 | 48245.6 | 260-326 | თერჯოლა, სოფ.ჩხარი. | ნ.ფანჩულიძე | — |
| 16 | X | 330 „ეგრეზი" (სენაკის № 1 ჩაის ფ-კა) | 168300 | 78000 | 46.346 | 114035 | 430-330 | სენაკი, გუდაუთის 2. | ზ.ცაავა | 2,26 |
| 17 | X | 334 „სამრეწვ-საწარ.კ-ტი" (ჭიათ. VIII ტრ.) | 171843 | 63000 | 36.661 | 92105.3 | 580-334 | ჭიათურა, საჩხერის გზატკ. 10. | გ.ჭაჭანიძე | 4,3 |
| 18 | X | 344 „ლაგოდეხი" (ავტოსატრ.საწ.) | 34068 | 12500 | 36.691 | 18274.9 | 290-344 | ლაგოდეხი, სიღნაღის გზატკ. 1. | ოლ.კაპანაძე | 1,29 |
| 19 | X | 366 „აბრეშუმ.ძაფსახვევ-საგრ.ფ-კა" (ოზურგ.) | 78660 | 28000 | 35.596 | 40935.7 | 370-366 | ოზურგეთი, გურამიშვილის 4. | ჭ.დოლიძე | 4,12 |
| 20 | X | 398 „ხალიბი" („სამთოქიმ" სარემ.მექ.ქ-ნა) | 52247 | 21500 | 41.151 | 31432.7 | 238-398 | თბილისი, ორხევი. ტ.788894. | გ.ბაკურაძე | 3,6 |
| 21 | X | 453 „ჭიათურმშენი" (№8 ტრ. „ჭიათურმშენი") | 124483 | 44000 | 35.346 | 64327.5 | 580-453 | ჭიათურა, ყაზბეგის 6. | გ.კაპანაძე | 0,6 |
| 22 | X | 493 „გარდაბანავტოტრანსი" (გარდაბნ.ასს) | 80439 | 30500 | 37.917 | 44590.6 | 140-493 | 505 გარდაბანი, ალმაშენებლის 1. | დ.ხოფერია | 3.2 |
| 23 | X | 497 „ლია" (წალენჯიხის ჩაის ფ-კა) | 136370 | 64500 | 47.298 | 94298.2 | 510-497 | წალენჯიხა, სოფ.ლია. | ლ.ფიფია | — |
| 24 | X | 533 „ცენტრალური ავტოვაგზალი" (ქუთ.ცენტრ.) | 57747 | 27000 | 46.756 | 39473.7 | 480-533 | ქუთაისი, ჭავჭავაძის 67. | ო.კახიანი | 1,7 |
| 25 | X | 538 „ტრანსფეთქინდუსტრია" (სახ. ფირმა) | 54234 | 17500 | 32.268 | 25584.8 | 237-538 | თბილისი, ბულაჩაურის 8. | გ.ქავთარაძე | — |
| 26 | X | 543 „გორგალი" (სენაკსატვ. ა-სატრ. საწ.) | 79502 | 31500 | 39.622 | 46052.6 | 430-543 | სენაკი, ჭყონდიდელის 9. | რ.ქუჩულორია | 2,98 |
| 27 | X | 553 „დიალოგი" (საქნავთპროდ.რესპ.საინფ.ც.) | 37642 | 16500 | 43.834 | 24122.8 | 231-553 | თბილისი, წერეთლის 142. | თგოგიშვილი | — |
| 28 | X | 560 „ქუთაისის მაცივარკომბინატი „სოუზვე" | 596327 | 233000 | 39.073 | 340643 | 480-560 | ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 176. | ა.ბურჯანაძე | 1,5 |
| 29 | X | 638 „ორგენერგომშენი" (სახ. საწ. „საქორგენერგო") | 116937 | 53000 | 45.324 | 77486.4 | 232-638 | თბილისი, ჭიქიას 6. | რ.ხუნწარია | 1 |
| 30 | X | 740 „სოფლმომარაგება" („საქსოფლმომარ.") | 280295 | 99000 | 35.32 | 144737 | 140-740 | გარდაბნის რ-ნი სოფ.აგთაქლა. | თ.ჭაფარიძე | 10,6 |
| | | სულ | 4426503 | 1880500 | | 2749269 | | | | 75,7 |

## თითოეული საწარმოს მიხედვით გაყიდული აქციების რაოდენობა და მათი პროცენტული წილი გასაყიდად გამოტანილ აქციათა ასპექტებში, აუქციონის კურსი თითოეული საწარმოს მიხედვით.

| საწარმოს კოდი | სააქციო საზოგადოების დასახელება | გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი) | განაცხადების რაოდენობა (ცალი) 1ტიპი | 2ტიპი | სულ | ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) 1ტიპი | 2ტიპი | სულ | გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი) | აუქციონის კურსი აქცია/ვაუჩ. | დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი) | გაყიდული აქციების % | ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულება (დოლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 001 | "ამალთეა" | 140869 | 29 | 5 | 34 | 3507 | 143 | 3650 | 138700 | 38 | 2169 | 98.46 | 55,48 |
| 005 | "ჩარხი-ხაზი" | 70000 | 11 | - | 11 | 876 | 0 | 876 | 39420 | 45 | 30580 | 56.31 | 65,7 |
| 009 | "დუზანი" | 90000 | 3 | - | 3 | 32 | 0 | 32 | 1440 | 45 | 88560 | 1.60 | 65,7 |
| 010 | "გამოფენა ცენტრი" | 34500 | 8 | - | 8 | 793 | 0 | 793 | 34099 | 43 | 401 | 98.83 | 62.78 |
| 033 | "ქუთ. მინის ტარის ქ-ნა" | 77000 | 4 | 1 | 5 | 11 | 6 | 17 | 765 | 45 | 76235 | 0.99 | 65,7 |
| 036 | "ქუთ. საკონდიტრო ფ-კა" | 97000 | 11 | 1 | 12 | 319 | 270 | 589 | 26505 | 45 | 70495 | 27.32 | 65,7 |
| 046 | "თბილმელანჟე" | 37000 | 1 | 1 | 2 | 1 | 270 | 271 | 12195 | 45 | 24805 | 32.95 | 65,7 |
| 063 | "ავიასერვისი" | 39000 | 17 | 2 | 19 | 905 | 271 | 1176 | 38808 | 33 | 192 | 99.50 | 48,18 |
| 064 | "მერკური-92" | 140000 | 9 | - | 9 | 30 | 0 | 30 | 1350 | 45 | 138650 | 0.96 | 65,7 |
| 079 | "ფარნავაზი" | 135000 | 1 | - | 1 | 1 | 0 | 1 | 45 | 45 | 134955 | 0.03 | 65,7 |
| 089 | "უქსოვადი ქსოვილები" | 380000 | 11 | 4 | 15 | 149 | 10 | 159 | 7155 | 45 | 372845 | 1.88 | 65,7 |
| 099 | "ნინო" | 62000 | 7 | 3 | 10 | 1423 | 410 | 1833 | 60456 | 33 | 1544 | 97.50 | 48,18 |
| 100 | "ლაინი" | 15000 | 3 | - | 3 | 7 | 0 | 7 | 315 | 45 | 14685 | 2.10 | 65,7 |
| 129 | "ავტომემკეთებელი-2" | 15000 | 3 | - | 3 | 701 | 0 | 701 | 14721 | 21 | 279 | 98.14 | 30,66 |
| 130 | "ცენტრ. სუპერმარკეტი" | 72000 | 32 | 2 | 34 | 2015 | 12 | 2027 | 70945 | 35 | 1055 | 98.53 | 51,1 |
| 166 | "ისანი" | 280000 | 8 | - | 8 | 3326 | 0 | 3326 | 149570 | 45 | 130430 | 53.45 | 65,7 |
| 204 | "კრწანისი" | 177000 | 11 | 1 | 12 | 4434 | 5 | 4439 | 173121 | 39 | 3879 | 97.80 | 56,94 |
| 233 | "მაცნე" | 34400 | 2 | 1 | 3 | 136 | 810 | 946 | 34056 | 36 | 344 | 99.00 | 52,56 |
| 258 | "თბილნავთობპროდუქტი" | 115000 | 15 | 1 | 16 | 2603 | 5 | 2608 | 114752 | 44 | 248 | 99.78 | 64,24 |
| 259 | "ვაგი" | 276000 | 2 | - | 2 | 2 | 0 | 2 | 90 | 45 | 275910 | 0.05 | 65,7 |
| 286 | "საწარმოუზრუნველყოფა" | 77000 | 1 | - | 1 | 1 | 0 | 1 | 45 | 45 | 76955 | 0.05 | 65,7 |
| 287 | "თბილ. ქაღალდის ფ-კა" | 70000 | 7 | 1 | 8 | 552 | 1 | 553 | 24885 | 45 | 45115 | 35.54 | 65,7 |
| 301 | "ხიდმშენი" | 315000 | 2 | - | 2 | 2 | 0 | 2 | 90 | 45 | 314910 | 0.02 | 65,7 |
| 359 | "სილიკატი" | 110000 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 90 | 45 | 109910 | 0.08 | 65,7 |
| 367 | "აქატი" | 80000 | 3 | 1 | 4 | 273 | 136 | 409 | 18405 | 45 | 61595 | 23.00 | 65,7 |
| | სულ: | 2938769 | 202 | 25 | 227 | 22100 | 2350 | 24450 | 962023 | 39.35 | 1976746 | 32.74 | |

## ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია



გუშინ, 4 აგვისტოს, **ვახუშტი კოტეტიშვილს** 60 წელი შეუსრულდა. „კავკასიონისთვის“ შერჩეულ ლექსებს ბატონმა ვახუშტიმ „ნახანძრალი ლექსები“ უწოდა.

პოეტის ადრეული ლექსების სიმსუბუქეს, სილაღეს დროთა განმავლობაში ჩვენი ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეული მძიმე, სევდიანი განწყობილება შეერია. მაგრამ პოეტური სიტყვის ძალა მათშიც ისეთივე აშკარაა, როგორც მისი ერთი ძველი ლექსის გმირის, რუბიას, შავი თვალების ხიბლით შექმნილ სტრიქონებში. ჭეშმარიტი პოეზია ნახანძრალ ქალაქში, „ტყვიამფრქვევების კაკანშიც“ ცოცხლობს.

„კავკასიონი“ ულოცავს ბატონ ვახუშტის იუბილეს. დღეგრძელობას და წარმატებებს უსურვებს მას.

### ჩემი აკაცია

ჩემი აივნის წინ თეთრი აკაცია,
ფოთლები ფერმკრთალი, ჯერ დაუცვენელი,
ეს ხე დატოტვილი ჩემი ძმაკაცია
და ჩემი ლექსების პირველი მსმენელი.

მის ფოთოლთ შრიალზე ლექსს დავწერ პატარას,
ლექსს დავწერ პატარას და თითქმის უხმოდ ვკითხავ.
მე სულაც არ ვფიქრობ მის ხალხში გატანას,
ეს აკაცია კი სულყველას უკითხავს.

ფოთლების შრიალით უკითხავს გამვლელებს
ჩემს ლექსებს გულისთქმას და ფიქრებს მთვარეულს,
თავისი ნაზი ხმით ის თითქოს ახელებს
ცეცხლიან ქარიშხალს, ჩემს გულში არეულს.

იგი საიდუმლოს შენახვას ვერ ითმენს,
ტოტს უქნევს ჩემს ფიქრებს მთვარისკენ გაფრენილს,
სარკმლიდან შრიალით კითხულობს ჩემს ლექსებს,
გასაგზეურებლად სტრიქონზე გაფენილს.

თუ იგი შრიალებს, მაშინ ვწერ მეც ლექსებს,
მკარნახობს სტრიქონებს, მაშ რის ძმაკაცია?!
და მე აღარ ვიცი, ვინ არის მელექსე –
მე თუ აკაცია?..

1951 წ.

* * *

ქვეყნად მოველ როგორც დილის ნამი,
დავეწვეთე გაყვითლებულ ფურცლებს,
წვიმა მზრდიდა დღისით თუ ღამით,
აღარს ალბათ ასე მიტომ ვუძლებ.
მზე ნათელი არ მინახავს წამით,
თორემ ალბათ ამაშრობდა უცებ.

1951 წ.

### ნიავი

თალიან აივნებს
მოივლის,
გაიგნებს გზას,
პოეტის კოცნებს და ოცნებებს
მთვარეზე აიყვანს.
ქაშვეთში ილოცებს,
მიიტანს მიმოზებს, ბზას,
მერე ინახულებს ჩემს ცისფერ აივანს...

ო, ქცევა ქურდული
რად უნდა შურდულის მსგავსს?!
ან ლამაზ ბილურებს ასე რად აციებს?!
მისი სიარული ქალების გალობას ჰგავს
და ჩემს აკაციებს.

1952 წ.

### თოვლი

თეთრი დათვივით მოვიდა თოვლი,
და მხარზე უხმოდ დაგვადო თათი.
თეთრი ფიფქები ცვიოდნენ ტრიოლევით,
ჩვენ არ გვესმოდა ჩურჩული მათი.

ჩვენ შინ დავბრუნდით შორ გზაზე მოვლით,
ჩვენ თვითონ თოვლის ფანტელებს ვგავდით.
თეთრი დათვივით გამოგვყვა თოვლი
და აივანზეც შემოჰყო თათი

1954 წ.

### ნატვრისმაგვარი

მე მინდა რაღაც ახალი
და რაღაც უფრო სხვა...
ცა მინდა უფრო მაღალი
და უფრო ვრცელი – ზღვა...

ნურც ცა იქნება მაღალი,
ნურც უფრო ვრცელი – ზღვა,
ოღონდ რამე ახალი,
ოღონდ რამე სხვა.

1954 წ.

### რუბია

**1956 წელს სამარყანდში სტუდენტურ პრაქტიკაზე ყოფნისას გამეცნო ერთი 15 წლის გოგონა, სახელად რუბია, თავით-ფეხამდე აღმოსავლურად მოსილი და ორმოცნაწნავიანი. საიდანღაც გაეგო ჩემი სახელი, დამიძახებდა და მემალებოდა. როდესაც დავიჭირე, ვკითხე: რა გინდა-მეთქი? — მიპასუხა: — წამიყვანე თბილისში, შენს ჩაიხანაში ფიალებს დავრეცხავო. იქვე გამოვთქვი ეს ლექსი:**

ჯერ პატარა გოგონაა რუბია,
წარბი წარბზე სურმით გადაუბია,
თავზე ჭრელი არახჩინი უხდება,
ბაგეები მარჯნად გადაუპია.

სავსე მკერდზე ფულები და ვერცხლები,
და იმ მკერდქვეშ მოფართხალე მერცხლები,
ამ წარბებმა გასაფრენად მომზიდა,
მის წამწამთა ქარს ავყევ და ვერ ვცხრები.

ალვა ტანი, უმოლტესი ალვაზე,
და თვალები მოსისხამე ალმასი,
რუბი, მითხარ, მაგ ბაგეთა თასიდან
უკვდავების წყარო რატომ არ მასვი?!

რუბი, მითხარ რამე, აგრემც იხარე,
გაგიმალო ზეცის ფარჩა – ფართალი,
სიყვარულზე ოღონდ რამე მითხარი,
ტყუილი თქვი, ნუ იქნება მართალი!

თვალთა ისართ სურთ ამ გულის აკლება?
დე აიკლონ, რით ვარ სხვებზე ნაკლები?!
ეგ თვალები თუ უმთვარო ღამეა –
მაგ ღამეში ელვად დავიკლაკნები.

ისეც ვივლი, ფილაქანი არ მინდა!
შაში მინდა, იაგანი არ მინდა!
მაგ თვალების ბნელ, უმთვარო ღამეში
ისე შევალ, ჩირაღდანი არ მინდა!

სამარყანდი 1956 წ.

### მე და თქვენ

ოდესმე მაინც, ოდესმე მაინც
მივაღწევ იმას, მიხმობდა რაიც,
რისიც ვიწამე, რასაც ვეწამე,
რაც ორთა შორის იყო მესამე
თქვენთვის, ჩემთვის კი – უპირველესი
ჩემს და ჩემს შორის, წიაღ და მიღმა,
რამაც დამამხო და ამით მიხმო,
რამეთუ ბრძანა: ოდენ მესმინა,
და მახნევინა, და მათესვინა,
მზეში თუ ქარში, ავდარში, დარში,
და უპოვარი კვლავ იგივ დავრჩი,
რამეთუ ბრძანა, ოდენ მესმინა,
მაგრამ სხვის მკლავზე გადაეწვინა
ის ხელეური – ჩემი ნაყოფი,
ჩემი ოცნების მზეში ნამყოფი,
ჩემი ნალვაწი, ჩემი ნახნავი,
სულის სარჩო და ეჭვის სახრავი.

ოდესმე მაინც, ოდესმე მაინც
მივაღწევ იმას, კვლავ მიხმობს რაიც–
რისიც ვიწამე, რასაც ვეწამე–
ეჭვები ბჭეებს შემილეწავენ
და განიხვნება ჩემი ბეთლემი,
არვის ვეზაკვი, არვის ვეთნევი...

მაშინ გაგიხსნით მე ჩემს დარაზებს
და თქვენი მანჭვა არ გამაბრაზებს.

1965 წ.

### სიზიფე

ვერ გამიგია, ამ დიდებულ მთასთან ჭიდილი
თქვენს წყლის ნაყვაზე უფრო ფუჭი რატომ გგონიათ?!

1990 წ.

### უტოლობა

უსამშობლოოდ სახელმწიფო ვერ იარსებებს,
უსახელმწიფო სამშობლო კი რჩება სამშობლოდ.

1990 წ.

### ვეფხვი და მოყმე

ახლა ისინი გამოდიან ყოველდღე ცირკში,
ილებენ ხელფასს, ძლივსძლივობით არჩენენ დედებს.

1990 წ.

### ვინ იცის?

ვინ იცის, იქნებ ცხოვრებისგან გაბეზრებული
ყვავები რარიგ შენატრიან დღემოკლე პეპლებს?!

1990 წ.

* * *

როცა ყველაფერი იწვის
ისე, როგორც წკირი წიწვის,
იწვის წიგნი, იწვის ხატი,
წარსული და აწმყო იწვის,
როცა დგება ალზევება
ღვარძლის, სულიერი სიძვის,
როცა ტყვიის წვიმა დასწვიმს
ჯვარს, ქაშუეთს, ილორს, ყინწვისს,
როცა იწვის ყველაფერი,
თავად რწმენა ცის თუ მიწის,
მაშინ შეგვეწიე, ღმერთო,
როცა ყველაფერი იწვის.

1992 წ.

### ბოლო განწყობილება

სინამდვილე მივატოვე
და ოცნება ვინამდვილე,
წლებს თმა-წვერი მივათოვე,
წლითი-წლობით ვიმარტვილე,
წილად მერგო სიმარტოვე
და ცხოვრების სიმარტივე.

აღარც მინდა რამეს ვჭკიდე,
ყველაფერი სულერთია.
სულო ჩემო, ცოტა კიდევ:
იქით უკვე სულეთია.

1992 წ.

### დღევანდელობა

გული დამეჩშო ისე, ვით
სიკვდილმისჯილის საკანი,
აღარც რამე მოვლენა,
აღარც რამე საგანი,
ირგვლივ რეგვენთა ჯირითი,
ლანძღვა-გინება-ყაყანი,
შუბლნატყვიარი ქაშვეთი,
ნაცრად ქცეული აკვანი,
თვალთა ბოროტი ნათება
და ტყვიამფრქვევთა კაკანი–

და იმ გვამების ხროვაში
მეც – ერთი იმგვამთაგანი.

1993 წ.

### მკაფიო კაფია

გავიბითურეთ სამშობლო,
მართლაც სამოთხის სადარი.
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არი?!

1994 წ.

* * *

ჩემი მარტოობის ბაღში
გაჩნდა უცხო ყოილი,
როგორც უპატრონო ბავშვი,
ნიავს ჩამოყოლილი.

ჩამძახიან: ვერ იქნება
ის შენს ხელში მოვლილი...
რადგან წლები ეფიქრებათ
ჩემზე ჩამოთოვლილი.

რა იციან, ზოგჯერ დარობს
დეკემბერში მაისი
და ენძელაც თოვლქვეშ ხარობს,
როგორც ედელვაისი.

1994 წ.

ახალი თარგმანები

ხოსე ორტეგა ი გასეტი

# ესსე ესთეტიკურ თემებზე წინასიტყვაობის სახით

თარგმანი ეძღვნება გივი გეგეჭკორს

(გაგრძელება)



## 3. „მე" და ჩემი „მე"

ყველაფერი, რაც თვით ჩემი თავიდანაა დანახული, „მე"-ა.

ეს ფრაზა მხოლოდ საცალფეხო ბილიკია, რომელმაც შეიძლება ჩვენთვის საჭირო არსის მართებულ გაგებამდე მიგვიყვანოს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს ფრაზა ზუსტი როდია.

როცა მტკივა, მიყვარს ან მძულს, მე ვერ ვხედავ ჩემს ტკივილს, ვერ ვხედავ ჩემს თავს როგორც მოყვარულს ანდა მოძულეს. ჩემი ტკივილი რომ დავინახო, უშუალოდ აღარ უნდა განვიცდიდე მას და მხედველ „მე"-დ ვიქცე. ეს „მე", რომელიც ხედავს სხვას, ტკივილით გატანჯულსა და გაწამებულს, ამჯერად ჭეშმარიტი, ნამდვილი და ქმედითი „მე"-ა. ტკივილის უშუალოდ განმცდელი „მე", ზუსტად რომ ვთქვათ, აქამდე იყო, ახლა კი ის მხოლოდ ხატებაა, ჩემს წინაშე მდგარი საგანი.

ასე მივდივართ ანალიზის უკანასკნელ საფეხურამდე: „მე" ადამიანი როდია, ნივთისა თუ საგნის საპირისპიროდ; „მე" არც „ეს" ადამიანია, იმის საპირისპიროდ, ვისაც ესადაგება ნაცვალსახელები „შენ" ანდა „ის"; დაბოლოს, „მე" არც „მე თვითონ" — აა (me ipsum), რომლის შეცნობასაც ვცდილობ, როცა მსურს დელფოს სამისნოს დევიზს მივსდიო: „შეიცან თავი შენი". მე ვხედავ ახლად ამოწვერილ მზეს, ვარდისფერ ღრუბლებს რომ მიარღვევს და ოქროცურვილი ამფორასავით თანდათანობით მიიწევს მაღლა; მაგრამ ეს, არსებითად, მზე კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი ხატება. ზუსტად ასევე „მე", რომელიც ჩემსავე თავთან ურღვევი კავშირით შერწყმული და მთლიანად ჩემი მგონია, სინამდვილეში მხოლოდ ჩემი „მე"-ს ხატებაა.

აქ იმის ადგილი არა გვაქვს, რომ ომი გამოვუცხადოთ თანამედროვეობის დასაბამიერ ცოდვას, რომელიც ყველა დასაბამიერი ცოდვის მსგავსად, არაერთი ღირსებისა თუ გამარჯვების აუცილებელი პირობა იყო. მე ვგულისხმობ სუბიექტივიზმს, თანამედროვეობის ამ სულიერ სნეულებას, რომელიც აღორძინების ეპოქიდან იღებს დასაბამს. ამ სნეულების არსი ის გახლავთ, რომ ჩემთვის ყველაზე ახლობელი ჩემივე „მე" —ა, ესე იგი ჩემი შემეცნებისთვის ყველაზე ახლობელი ჩემი რეალობაა და „მე", როგორც რეალობა. ფიხტემ რომელსაც უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა გადაჭარბება სჩვეოდა. გადაჭარბება გენიალობის დონეზე. უმაღლეს გრადუსამდე აიყვანა ეს სუბიექტივისტური ციებ-ცხელება. მისი გავლენითაა აღორძინებული მთელი ეპოქა, რომლის გარიჟრაჟზეც, იდესღაც, გერმანულ აუდიტორიებში ისე ამოაცოცებდნენ „მე"-ს სამყაროს, როგორც ცხვირსახოცს იღებენ ჯიბიდან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფიხტემ დაიწყო სუბიექტივიზმის დაღმასვლა და, შესაძლოა, თვით იმ წუთებში შესაძლებელი გახდა გაგვერჩია ნაპირის მოხაზულობა, ანუ, რაც იგივეა, სუბიექტივიზმის ფუჭი საზრუნავისგან თავისუფალი აზროვნების ახლებური მანერის კონტურები.

ეს „მე", რომელსაც ჩემი თანამემამულენი მავანს უწოდებენ და რომელიც მე თვითონ გახლავართ, ჩემთვის არანაკლები იდუმალებითაა მოცული, ვიდრე სხვებისთვის. და პირიქით, სხვა ადამიანებზე თუ საგნებზე მე არანაკლებ პირდაპირი ცნობები მომეპოვება, ვიდრე ჩემს საკუთარ თავზე. როგორც მთვარე მიჩვენებს მხოლოდ თავის ფერმკრთალ, ვარსკვლავიერ მხარს, ჩემი „მე"-ც მხოლოდ გამვლელია, ჩემს თვალწინ რომ ჩაივლის და საშუალებას მაძლევს თვალი შევავლო მხოლოდ მის ზურგს, მოსასხამის სქელი ქსოვილით შებურვილს.

დიდი მანძილია სიტყვიდან საქმემდე, ამბობენ ხალხში. ხოლო ნიცშემ თქვა: „ადვილია იფიქრო, ძნელია იყო". ეს მანძილი სიტყვიდან საქმემდე, რაღაცაზე ფიქრიდან იქამდე, რომ რაღაცა იყო, არის სწორედ ის, რაც ერთმანეთისგან ჰყოფს საგანს და „მე"-ს.

## 4. ესთეტიკური ობიექტი

ახლა კი მივადექით შემდეგ მკაცრ დილემას: ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი გაგების ობიექტად ვაქციოთ, არ შეგვიძლია ვაიძულოთ საგანი ჩვენთვის იარსებოს, თუ მას არ გარდავქმნით ხატებად, კონცეფციად, იდეად, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ის არ განესხვისა საკუთარ თავს და თავისივე თავის ლანდად თუ სქემად არ იქცა. ჩვენ მხოლოდ ერთ რამესთან ვამყარებთ შინაგან კავშირს — ჩვენს ინდივიდუალობასთან, ჩვენს ცხოვრებასთან. მაგრამ ეს ინტიმურობაც, ხატებად რომ იქცევა, უკვე აღარ არის ნამდვილი. როცა ვამბობ, „მე მივდივარ" სიარულზე მიგვანიშნებს-მეთქი, სიარულზე, რომელიც მისი შინაგანი არსითა თუ შინაარსითაა აღქმული, რაღაც ძალზე რელატიურს ვამტკიცებდი, რადგანაც სხეულის გადაადგილება სივრცეში ჩემი გრძნობებისა და შეგრძნებების ხატებაა. მაგრამ ნამდვილი, ხორცშესხმული სიარული თანაბრად დაშორებულია როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ხატებისგანაც.

შინაგანი ვერც ჩვენი მეცნიერების ობიექტი იქნება, ვერც პრაქტიკული აზროვნების და ვერც ხელოვნური რეპროდუცირებისა. და მაინც, სწორედ ისაა საგნის ჭეშმარიტი არსი, ერთადერთი, რაც სჭირდება და სრულიად აკმაყოფილებს ჩვენს ჭვრეტას. ნუ ჩაუღრმავდებით საკითხს, რამდენად შესაძლებელია გონების თვალსაზრისით, ანდა თუ შესაძლებელია, როგორ ვაქციოთ ჩვენი ჭვრეტის ობიექტად ის, რაც საიმისოდ განწირული ჩანს, რომ არასოდეს არ იქცეს ობიექტად. ეს ძალზე შორს შეგვიტყუებდა მეტაფიზიკის უსიერ ტევრში. ჰოდა, შევჩერდეთ და კარგად დავუკვირდეთ ხელოვნების ქმნილებას — ვთქვათ, „ფიქრში დანთქმულს", ღვთაებრივად მშვიდსა და უძრავად გარინდებულს მედიჩების კაპელის სიმრუმესა და ცივ გარემოში. დავუკვირდეთ და ჩვენსავე თავს ვკითხოთ, რა არის ეს, ბოლოს და ბოლოს, მაინც რა იქცა აქ ჩვენი ჭვრეტის საბაბად, ობიექტად და თემად.

ეს ხომ მარმარილოს ლოდი არ არის, როგორც სინამდვილის ხატება. აკი, რამდენადაც შეგვიძლია მეხსიერებაში გამოვიხმოთ ყველა მისი დეტალი, ჩვენთვის სულაც არ არის არსებითი მისი მატერიალური არსებობა. ამ მარმარილოს სხეულის რეალობის შეგნება არანაირად არ მონაწილეობს ჩვენს ესთეტიკურ განცდაში. უფრო სწორად, მონაწილეობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საშუალებას გვაძლევს შევიგრძნოთ, რომ ესაა პირწმინდად წარმოსახული ობიექტი, რომელიც შეგვიძლია მთლიანად გადავიტანოთ ჩვენს ფანტაზიაში.

მაგრამ არც ფანტასტიკური საგანი იქცევა ესთეტიკურ ობიექტად. კაცმა რომ თქვას, ფანტასტიკური საგანი არაფრით არ განსხვავდება რეალური საგნისაგან: მთელი მათი სხვაობა იმაზე დაიყვანება, რომ ერთსა და იმავე საგანს ჩვენ წარმოვიდგენთ სინამდვილეში არსებულად ან არარსებულად. მაგრამ „ფიქრში დანთქმული" სრულიად ახალი ობიექტია, თვისებრივად განსხვავებული ჩვენი ფანტაზიის საგნისაგან. ის იწყება იქ, სადაც მთავრდება ყოველგვარი ხატება. არა მარმარილოს სისპეტაკე, არც ნატიფი ხაზები და გლუვი ფორმები, არამედ ის, რაზედაც მეტყველებს ყოველივე ეს და რაც ანაზდად წარმოგვიჩნდება ისეთნაირი სისრულით, რის აღნიშვნასაც მხოლოდ შემდეგი სიტყვებით თუ შევძლებთ: აბსოლუტური აქყოფნა.

მაინც რა განსხვავებაა ჩაფიქრებული კაცის ხილულ ხატებასა და „ფიქრში დანთქმულის" ჩაფიქრებას შორის? ხილული ხატება თხრობასავით მოქმედებს ჩვენზე; ის გვაუწყებს, რომ აგერ აქ, ჩვენს თვალწინ, ვიღაცა ფიქრობს. ყოველთვის რჩება დისტანცია ორ მომენტს შორის: ერთია ის, რასაც გვთავაზობს ხატება, და მეორე ის, რაზედაც ეს ხატება მიგვანიშნებს. მაგრამ „ფიქრში დანთქმული" თვით ფიქრის ხორცშესხმული აქტია. ჩვენ იმისი მოწმენი ვართ, რისი მოწმენიც ვერასოდეს ვერ გავხდებოდით ვერც ერთი სხვა საშუალებით.

მცდარია და ბანალური ის განმარტება, რომლის მეოხებითაც ერთი თანამედროვე ესთეტიკოსი ცდილობს ახსნას საგნის შეცნობის ის თავისებური საშუალება, რაც მოეპოვება ხელოვნებას. ლიპსის თანახმად, მე ვახდენ ჩემი „მე"-ს პროეცირებას მარმარილოს გლუვ ლოდში, და „ფიქრში დანთქმულის" შინაგანი ცხოვრება თითქოს ჩემი შინაგანი ცხოვრების მასკარადად იქცევა. ეს აშკარად მცდარია: მე სავსებით ნათლად მაქვს შეგნებული, რომ „ფიქრში დანთქმული" ისაა და არა მე, ხოლო მისი „მე" ჩემი „მე" როდია.

ლიპსის შეცდომა იმ სუბიექტივისტური ქაოსის შედეგია, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდი. თითქოს ესთეტიკური საგნის ეს უებრო გამჭვირვალობა ჩემთვის ხსნიდეს — ხელოვნების გარეშე — ჩემს საკუთარ „მე"-ს. არა, ინტროსპექციაში ან ჩემივე თავის ჭვრეტაში როდი ვპოულობ ჩაფიქრების ინტიმურობას, არამედ მარმარილოს ამ გიგანტში. ყველაზე მცდარია ვივარაუდოთ, თითქოს შინაგანი ცხოვრების მიწისქვეშეთის ხელოვნებას მოეძებნება მეთოდი, რომელიც სხვებს გადასცემს იმას, რაც ჩემს სულიერ იატაკქვეშეთში ხდება. საამისოდ არსებობს ენა, მაგრამ ის კი არ წარმოგვიდგენს, მხოლოდ მიგვანიშნებს საგნის შინაგან ცხოვრებას.

დავუკვირდეთ სამ ცნებას, რომელიც შედის ყველა ენობრივ გამოხატულებაში, როდესაც ვამბობ — „მე მტკივა", ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ:

1) საკუთრივ ტკივილი, რომელსაც მე განვიცდი;

2) ამ ტკივილის ჩვეული ხატება, რომელიც არ მტკივა;

3) სიტყვა „მტკივა".

რას გადასცემს სხვის სულს ბგერათკომპლექსი „მტკივა", რას ნიშნავს ის? არა ტკივილის უშუალო განცდას, არამედ ტკივილის უფერულ ხატებას. თხრობა ყოველი საგნისგან მისსავე ლანდსა ქმნის და აქტუალობის ჰორიზონტს მიღმა მიერეკება მას, რაც მონათხრობია, უკვე „იყო", ხოლო ეს „იყო" არის ფორმა, რომელსაც აწმყოში ტოვებს აწ უკვე გარდასული არსი, როგორც ზღვაში ტოვებს გამოვლილი კვალს.

ჰოდა, დავუფიქრდეთ, რას შეიძლება ნიშნავდეს ენა, ანუ გამოსახველობით ნიშანთა სისტემა, რომლის ფუნქციაც ის კი არ იქნებოდა, რომ საგნებზე მოეთხრო რამე, არამედ რეალიზებულად წარმოესახა ჩვენთვის ისინი.

ეს ენა ხელოვნებაა. სწორედ ესაა ქმნის ხელოვნებას. ესთეტიკური საგანი სხვა არა არის რა, თუ არა საკუთრივ შინაგანი ცხოვრება; ესაა „მე"-დ ქცეული ნებისმიერი საგანი.

მე იმას როდი ვამბობ — გთხოვთ, ყურად იღოთ ჩემი სიტყვები, — რომ ხელოვნების ნაწარმოები ცხოვრებისა და არსებობის საიდუმლოებას გვიმჟღავნებს; არა, მე ვამბობ, რომ ხელოვნების ნაწარმოები იმ თავისებურ ტკბობას გვანიჭებს, რომელსაც ესთეტიკურს ვუწოდებთ, რადგანაც ჩვენ გვეჩვენება, რომ ჩვენს თვალწინ იშლება საგნის შინაგანი ცხოვრება, მისი ხორცშესხმული რეალობა, და ამასთან შედარებით ყოველგვარი ცნობა, რასაც მეცნიერება გვთავაზობს, მხოლოდ უსულო სქემად, შორეულ ალუზიად, ლანდად თუ სიმბოლოდ ჩანს.

## 5. მეტაფორა

ამა თუ იმ საგნისკენ მიმართული ჩვენი მზერა მის ზედაპირს ეხება და არეკლილი უკანვე — ჩვენს გუგას უბრუნდება. საგანში შეღწევის ეს შეუძლებლობა შემეცნების ნებისმიერ აქტს — ხილვას, ხატებას, ცნებას — დუალიზმის, შესამეცნებელ საგანსა და შემმეცნებელ სუბიექტს შორის გათიშულობის თავისებურ ხასიათს ანიჭებს, როგორც ჩანს. ამ კანონიდან გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ გამჭვირვალე საგნები, მაგალითად, მინა: ჩვენი მზერა მინაში ატანს, ესე იგი, მხედველობის აქტში მე თვითონ შემიძლია გავაღწიო მინაში და გარკვეულ წამს თავს იჩენს მზერისა და მინის ურთიერთშეღწევადობა. მის გამჭვირვალობაში საგანი და „მე" ერთნი ხდებიან. მართლა ასეა ეს? მინის გამჭვირვალობა რომ ნამდვილი იყოს, საჭიროა მის მიღმა ვხედავდე სხვა საგნებს, ჩემს მზერას რომ ირეკლავენ. მინა, რომლის მიღმაც სიცარიელეა, ჩვენთვის არ არსებობს. მინის არსი ისაა, რომ საშუალებას გვაძლევს ვხედავდეთ სხვა საგნებს. მის არსებობას სწორედ ის განსაზღვრავს, რომ თავისთავადობა არ ჰქონდეს და სხვა რამედ გვეჩვენებოდეს. თვინიერებისა და თვითუარყოფის რა საშინელი მისია აკისრია ზოგიერთ არსსა თუ საგანს! აი, ქალი, სერვანტესის თქმისა არ იყოს, „მშვენიერების ეს გამჭვირვალე ჭურჭელი", თითქოს საიმისოდაა განწირული, რომ „თავისთავადობა კი არ ჰქონდეს, არამედ სხვა რამედ გვეჩვენებოდეს", როგორც სხეულებრივი, ისე სულიერი აზრითაც. ქალის დანიშნულება, ერთის შეხედვით, ისაა, რომ სურნელოვანი სათავსი იყოს სხვებისთვის და თავისი თავის ავსების საშუალებას აძლევდეს შეყვარებულსა თუ შვილს.

მაგრამ კვლავ უკან დავბრუნდეთ: თუ ნაცვლად იმისა, რომ მინიდან ვხედავდე სხვა საგნებს, მე მას ჩემი მზერის თვითმიზნად ვაქცევ, ის უკვე აღარ იქნება გამჭვირვალე და ჩემს წინ აღმოჩნდება რომელიღაც მღვრიე საგანი.

მინის მაგალითი გამოგვადგება იმის შესაცნობად, რაც ინსტინქტურად, სრული და უშუალო სიცხადით მოცემული გვაქვს ხელოვნებაში. სახელდობრ: არის რაღაც, ორმაგ არსებობას რომ აერთიანებს (მინის გამჭვირვალობასა და იმას, რაც მინიდან ჩანს), ასე რომ, საგნის გამჭვირვალობა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სხვა რამ კი არა, არამედ თვით ეს საგანი.

ეს საგანი, რომელიც თავისივე თავიდან ჩანს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესთეტიკური ობიექტი თავისი ელემენტარული ფორმით, მოცემულია მეტაფორაში. მე ვიტყოდი, რომ ესთეტიკური საგანი და მეტაფორული საგანი ერთი და იგივეა; რომ მეტაფორა პირველადი ესთეტიკური საგანია, მშვენიერების უჯრედი.

სწავლულთა მხრივ უსამართლო უგულებელყოფა მეტაფორას terra incognita-ს ( უცნობი მიწა (ლათ.) მდგომარეობაში აყენებს. მე არა მაქვს იმის პრეტენზია, რომ ამ ნაუცბათევად დაწერილ ფურცლებზე მეტაფორის მთელი თეორია ავაგო: ამიტომ მხოლოდ იმის ჩვენებით შემოვიფარგლები, თუ როგორ ვლინდება მასში ესთეტიკური საგანი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნო, რომ ტერმინი „მეტაფორა" ერთდროულად აღნიშნავს პროცესსაც და რეზულტატსაც, ესე იგი, აზრის ქმედითობის ფორმასაც და ამ ქმედითობის შედეგად მიღებულ საგანსაც.

ერთმა ლევანტელმა პოეტმა - ხესუს ლოპეს პიკომ „მკვდარი ალის აჩრდილი" უწოდა კვიპაროსს.

აი, ნამდვილი მეტაფორა. როგორია აქ მეტაფორული საგანი? არა კვიპაროსი, არა ალი, არა აჩრდილი — ყველა ისინი რეალურ ხატებათა რიგს მიეკუთვნებიან. ახალი ობიექტი, რომელიც ჩვენს თვალწინ ტკბეთება, ესაა რომელიღაც „კვიპაროსი ალის აჩრდილი". მაგრამ ამნაირი კვიპაროსი უკვე აღარ არის კვიპაროსი, ამნაირი აჩრდილი უკვე აღარ არის აჩრდილი, ამნაირი ალი უკვე აღარ არის ალი, თუ გვინდა გავიგოთ, რა შეიძლება დარჩეს კვიპაროსისაგან, რომელიც ანაზდად ალად გარდაიქმნა, ანდა ალისაგან, კვიპაროსად რომ იქცა, ყველაფერი კვიპაროსისა და ალის კონტურებზე რეალური დაკვირვებით შემოიფარგლება. ესაა ორი საგნის რეალური მსგავსება. ყველა მეტაფორისათვის ნიშნეულია რეალური მსგავსება მის ელემენტებს შორის, და ამიტომაც, ჩვეულებრივ, ფიქრობენ, თითქოს მეტაფორის არსი სხვა არა არის რა, თუ არა ერთმანეთისაგან შორიშორს მდგარი საგნების გაიგივება, ან გამაიგივებელი დახლოება.

მაგრამ აქ ყველანი ცდებიან. ჯერ ერთი, საგანია მეტ-ნაკლები სიშორე მხოლოდ მათ მეტ-ნაკლებ მსგავსებას ნიშნავს, გინდ ის გითქვამს, რომ საგნები შორს დგანან ერთმანეთისაგან, და გინდ ის, რომ ისინი ნაკლებად ჰგვანან ერთმანეთს. მეტაფორა კი სწორედ იმიტომ გვაკმაყოფილებს, რომ ჩვენ ვგრძნობთ მასში ორი სხვადასხვა საგნის თანხმთხვევას, ნებისმიერ მსგავსებაზე უფრო ღრმას და უფრო გადამწყვეტს.

ეგეც არ იყოს, თუ ლოპეს პიკოს ლექსის კითხვისას ჩვენ წინასწარვე ვიფიქრებთ ამ ორი საგნის — კვიპაროსისა და ალის მოხაზულობათა ნამდვილ მსგავსებაზე, შევამჩნევთ, რომ მეტაფორის მთელი ხიბლი გაქარწყლდა და ხელთ მუნჯი, უმნიშვნელო გეომეტრიული დაკვირვებაღა შეგვრჩა. არა, მეტაფორას რეალური გაიგივება როდი უდევს საფუძვლად.

სინამდვილეში პოზიტიური მსგავსება მეტაფორული აპარატის პირველი საარტიკულაციო მოძრაობაა მხოლოდ და მხოლოდ. ჩვენ გვჭირდება რეალური მსგავსება, ორი ელემენტის დაახლოების ეს ერთგვარი გამართლება. მაგრამ მიზანი სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც ამ დროს ვარაუდობენ.

კარგად დაუკვირდით: მსგავსება, რომელსაც ემყარება მეტაფორა, ყოველთვის არაარსებითია რეალობის თვალსაზრისით. ჩვენს მაგალითში კვიპაროსისა და ალის მოხაზულობათა მსგავსება თითოეული მათგანისათვის იმდენად გარეგნული და უმნიშვნელო თვისებაა, რომ ჩვენ უყოყმანოდ მივიჩნევთ მას მხოლოდ საბაბად.

მაშასადამე, მექანიზმი აქ ასეთია: საქმე ეხება ახალი საგნის ფორმირებას; ვუწოდოთ მას „მშვენიერი კვიპაროსი", „რეალური კვიპაროსის" საპირისპიროდ. მის მისაღებად ორ ოპერაციას უნდა დავუქვემდებაროთ კვიპაროსი: თავდაპირველად ჩვენ უნდა გაგ-

გაგრძელება მე 8 გვ.

გახსენება

# სული — პეპელა

გრიგოლ აბაშიძესთან, დიდებულ ადამიანთან და მწერალთან, მრავალი წლის მანძილზე ახლო, მეგობრული ურთიერთობა მქონდა, რაც მუდამ ძვირფას მოგონებად დამრჩება. ბევრჯერ გვისაუბრია და ყოველთვის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი განსწავლულობა, ლიტერატურული პროცესისადმი, მოვლენებისადმი შეუნელებელი ინტერესი.

ისიც უნდა ითქვას, სტრიქონთან შეჭიდებულ გრიგოლ აბაშიძეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჭაბუკური ცეცხლი არ განელებია და ამაზე ყველაზე ნათლად თუნდაც მისი ბოლო ათი წლის ბრწყინვალე ლირიკული ლექსები მეტყველებს. სავსებით ბუნებრივია, რომ აურაცხელი ტრაგედიებისა და კატასტროფების მომსწრეს ღრმა სევდა მოეძალა და ეს თავისებურად აირეკლა კიდეც მის პოეზიაში.

სხვათა მსგავსად, მეც სულით ხორცამდე შემძრა პოეტის ბოლო წიგნში დასადგურებულმა მწუხარების უმძაფრესმა განცდამ, შემოქმედი ადამიანის სურვილმა — განერიდოს კუპრის მორევად ქცეულ მიწიერ ჯოჯოხეთს, არყოფნაში დაინთქას. წუთისოფლის ამაოებამ, მშობელი ქვეყნის გაუთავებელმა უბედურებამ უკიდურესად დატანჯა, დაღალა იგი და ერთადერთ შვებად ის მდგომარეობა მიიჩნია, როცა შეეძლებოდა ყველას გასაგონად ეთქვა:

ავის და კარგის მოგონებებით

მეხსიერება არ შემაწუხებს.

გრიგოლ აბაშიძისთანა მრავალმხრივი ინტერესების ადამიანს შეუძლებელი იყო, ხელოვნების სხვადასხვა დარგები არ ჰყვარებოდა. იგი მხატვრობის საუცხოო მცოდნე და მოყვარულიც გახლდათ. მწერლის ბინის კედლებს არაერთი საუცხოო ნამუშევარი ამშვენებს, მაგრამ მის სამუშაო ოთახში შესულს, უპირველეს ყოვლისა, მზერას მტაცებდა არა ნახატები, არამედ ბუნების ნამდვილი საოცრება, ჩარჩოში ჩასმული, არაამქვეყნიურად ლამაზი, მუქი ლაჟვარდისფერი პეპელა, მტკაველზე რომ ჰქონდა ფრთები გაშლილი და მთელი სხეული სადაფივით უბზინავდა. ძველ ჩინელებთან წამიკითხავს — მწერები, მათ შორის პეპლები, სიკვდილის, ქინძისთავის გაყრის შემდგომ ფერს არ იცვლიანო. იმ პეპლის წარმომავლობა რომ ვკითხე, ბატონმა გრიგოლმა გაიღიმა, ბრაზილიურია, საზღვარგარეთ ყოფნის დროს ვიყიდე, მეც



ძალიან მომწონსო, მითხრა.

აი, უკვე წელიწადმა მოხაზა წრე; მოირკალა, შეიკრა ცეცხლოვან ეტლზე აფოფრილი ზაფხულის გზა. ზუსტად ეს ერთი წელია ამ ქვეყნად აღარ არის გრიგოლ აბაშიძე — შემოქმედების მადლითა და სიკეთით, მრავალი საუკეთესო თვისებით გამორჩეული პიროვნება. განგებისა თუ ბედისწერის ძალამ ისურვა, რომ მისი დაბადება და გარდაცვალება დროის ერთ მონაკვეთში, ერთ წერტილში მოქცეულიყო. ბუნებამ ამით თითქოს ერთხელ კიდევ მიგვანიშნა, რაოდენ პირობითი, სიფრიფანა ზღვარია სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

ერთი უცნაური დამთხვევაც; ზემოთ ნახსენები, მის სიცოცხლეში უკანასკნელი მშვენიერი პოეტური კრებული „არყოფნისკენ!“ გრიგოლ აბაშიძემ გამოცემისთანავე, 1994 წლის 4 ივლისს მისახსოვრა. ზუსტად ერთი თვის თავზე, 4 აგვისტოს ძვირფასი ადამიანის ცხედარი დიდუბის წმინდა მიწას მივაბარეთ.

შარშანვე, სექტემბერში, აბაშიძეების ბინის ზარი რომ დავრეკე, კარი ბატონი გრიგოლის უერთგულესმა და უსაყვარლესმა ადამიანმა, მისმა დამგლოვიარებულმა მეუღლემ, ქალბატონმა ლამარამ გამიღო და, ჩვეულებისამებრ, სამუშაო ოთახში შემიძღვა. მზერა უნებურად კვლავ იმ კედლისკენ გამექცა, სადაც ის ეგზოტიკური პეპელა მეგულებოდა. იქ სიცარიელე დამხვდა. შევკრთი. რატომღაც ვიფიქრე, რომ პეპლამ მიჩენილი ადგილი თავად დატოვა, შუშიანი ჩარჩო გამოარღვია, კედელს მოწყდა და გარეთ გაიჭრა. წარმოვიდგინე: ლაჟვარდისფერი, ზამბახივით გადალურჯებული, ხასხასაფრთებიანი პეპელა პოეტის დაუდეგარი, მფეთქავი სული იყო და მეტად მას აქ აღარ დაედგომებოდა — გაფრინდა, გადაიკარგა...

არაფერია იმაზე ძველი და ბანალური მეტაფორა, ვიდრე სული და პეპელა, მაგრამ ალბათ უფრო ზუსტსაც და მოხდენილსაც იშვიათად თუ მიაგნებს ადამიანის წარმოსახვა. აქ მაგალითების მოხმობას აღარ შევუდგებით, მხოლოდ გალაკტიონის „ორ სტრიქონს მოვიტანთ:

სული, ვედრებით განაოცები,

შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.

ეს გახსენება მხოლოდ მცირე ნაწილია ჩემი დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა იმ დაუვიწყარი ადამიანის მიმართ, ვინც ცხოვრების გზა ღირსეულად განვლო და კარს მომდგარ სიკვდილსაც კაცურად და „ფეხზე ამდგარი“ შეეგება

**ემზარ კვიტაიშვილი**

ხოსე ორტეგა ი გასეტი

# ესსე ესთეტიკურ თემებზე წინასიტყვაობის სახით

## თარგმანი ეძღვნება გივი გეგეჭკორს (გაგრძელება)

მე-7 გვერდიდან

თავისუფლდეთ კვიპაროსისაგან, როგორც ფიზიკური და ხილული რეალობისგან, უნდა წავშალოთ რეალური კვიპაროსი; შემდეგ კი ახალი, უნატიფესი და მშვენიერებით შემოსილი თვისება მივანიჭოთ მას.

პირველი ოპერაციის ჩანსახორციელებლად ჩვენ ვეძებთ რომელიღაც ახალ, საგანს, რომელსაც კვიპაროსი მართლაც რაღაცით წააგავს, თუმცა ეს მსგავსება ნაკლებად არსებითია. ამ არსებით მსგავსებაზე დაყრდნობით ჩვენ ვაცხადებთ, რომ ისინი აბსოლუტურად იდენტურნი არიან. მაგრამ ეს აბსურდია, ეს დაუჯერებელი ჩანს. რაღაც არაარსებითის თანმთხვევით შეერთებული ეს ხატებანი ერთმანეთს უარყოფენ, ურთიერთგანწონილობას ეურჩებიან. რეალური მსგავსება სინამდვილეში მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ხაზი გაუსვას ორი საგნის რეალურ არამსგავსებას. იქ, სადაც თავს იჩენს რეალური იდენტურობა, მეტაფორის ადგილი არ არის. მეტაფორაში ცოცხლობს არაიდენტურობის მკაფიო შეგრძება.

მაქს მიულერმა ჩვენი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „ვედებში“ მეტაფორას ჯერ კიდევ არ მიუკვლევია სიტყვისთვის „როგორც“, მთავარი შეცდომის წყაროდ რომ გვევლინება. პირიქით, მეტაფორული ოპერაცია ღიად, შიშველი სახით წარმოგვიჩნდება, და ჩვენ მოწმენი ვხდებით იმისა, თუ როგორ უარყოფს იდენტურობა. პოეტი „ვედებში“ არ ამბობს: „მაგარი, როგორც ქვა“, არამედ — „sa parvato na acyutas“ — „მაგარია, მაგრამ არა ქვა“; თითქოს ამის თქმა სურსო: სიმაგრე, უწინარეს ყოვლისა, ქვის ატრიბუტია, თუმცა „რაღაცაც“ მაგარია, მაგრამ ქვის სიმაგრით კი არა, არამედ რაღაც ახალი, სულ სხვანაირი სიმაგრით. ზუსტად ასევე, პოეტი ღმერთს უძღვნის თავის ჰიმნს non suavem cibum — ესე იგი, „ტკბილს, მაგრამ არა საზრდოს“. ნაპირი ბლავილით ახლოვდება, „მაგრამ ხარი კი არ არის“. (Max Muller, Origine et developpement de la Religion. P.79.).

ტრადიციული ლოგიკა ხშირად იყენებს ხერხს: დამტკიცებას უარყოფის საშუალებით, ხერხს, რომლის თანახმადაც საგნის უარყოფა, იმავდროულად, ახალი საგნის დამკვიდრებას ნიშნავს. ასე, ჩვენს მაგალითში კვიპაროსი — ალი უკვე აღარ არის რეალური კვიპაროსი, არამედ ახალი საგანია, მხოლოდ აზრობრივ ფორმას რომ ინარჩუნებს ფიზიკური ხისაგან, ფორმას, რომელიც კვიპაროსისათვის აბსოლუტურად უცხო, ახალი სუბსტანციით ივსება, — მკვდარი ალის აჩრდილისებრი მატერიით. (ცხადია, რომ ამ სტრიქონში მთელი სამი მეტაფორაა: ერთი კვიპაროსს ალად აქცევს, მეორე ალს აქცევს აჩრდილად, ხოლო მესამე ალს მკვდარ ალად გარდაქმნის. საქმის გასაადვილებლად მე მხოლოდ პირველს ვაანალიზებ.) და პირიქით, ალი რეალობის ვიწრო ფარგლებს ტოვებს, სადაც ის მხოლოდ ალია; ტოვებს, რათა პირწმინდად იდეალურ ფორმაში გადაინაცვლოს. პირველი ოპერაციის შედეგად ისპობა საგანი როგორც რეალობის ობიექტი. ორი საგნის შეჯახებისას იმსხვრევა მათი მკვრივი ჩონჩხი და გამლღვალი მატერია მოგვაგონებს პლაზმას, რომელიც მზადაა ახალი ფორმა მიიღოს და ახალი სტრუქტურა შეიძინოს. საგანი „კვიპაროსი“ და საგანი „ალი“ ერთმანეთში გადადგრას, კვიპაროსის იდეალურ ტენდენციად და ალის იდეალურ ტენდენციად გარდაქმნას იწყებენ. მეტაფორის გარეშე, პოეტური აზროვნების მიღმა, თვითეული ამ საგანთაგანი მხოლოდ ტერმინია, ჩვენი ცნობიერების მოძრაობის საბოლოო პუნქტი. ამიტომ მოძრაობა ერთი მათგანის მიმართ გამორიცხავს მოძრაობას მეორისკენ. მაგრამ როცა მეტაფორა იმავე ძალით აცხადებს მათ აბსოლუტურ იდენტურობას, როგორითაც მათ არაიდენტურობას ამტკიცებს, მას იქამდე მივყავართ, რომ ჩვენ ამ საგნების რეალურ ხატებათა იდენტურობას კი არ ვეძებთ, არამედ მხოლოდ ამოსავალ წერტილად ვიყენებთ მათ, როგორც სამანს, რომლის მიღმაც ახალ საგანთა იდენტურობას უნდა მივაკვლიოთ, — კვიპაროსს, რომელიც შეიძლება ყოველგვარი აბსურდის გარეშე ალად მიგვაჩნდეს.

მეორე ოპერაცია: რაკიღა ჩვენ უკვე გვეუწყა, რომ რეალური ხატებანი იდენტურნი არ არიან, მეტაფორა დაჟინებით ამტკიცებს მათ იდენტურობას და სულ სხვა სამყაროსკენ მიგვიძღვის, სადაც ამნაირი იდენტურობა, როგორც ჩანს, შესაძლოა.

მარტივი ახსნა-განმარტება გვიჩვენებს გზას ამ სამყაროსკენ, სადაც კვიპაროსები ალად იქცევიან.

ყოველგვარ ხატებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორი სახე აქვს: ერთი — ამა თუ იმ საგნის ხატებაა, მეორე კი — რაღაც ჩემეულის ხატება. მე ვხედავ კვიპაროსს, ჩემს წარმოსახვაში ირხევა კვიპაროსი; ეს კვიპაროსის ჩემეული ხატებაა. რაც შეეხება კვიპაროსს, ეს მხოლოდ ხატებაა; რაც შეეხება მე, ეს ჩემი რეალური მდგომარეობა გახლავთ, ჩემი „მე“-ს, ჩემი არსებობის მომენტი. რა თქმა უნდა, ვიდრე ხორციელდება კვიპაროსის ჩემეული ხილვის ცხოვრებისეული აქტი, კვიპაროსი ჩემთვის არსებობს როგორც საგანი; მაგრამ რა არის „მე“ ამ მომენტში, ეს ჩემთვის გამოცანად რჩება. მაშასადამე, სიტყვა „კვიპაროსი“, ერთის მხრივ, საგნის სახელია, მეორეს მხრივ კი — მოქმედება: საგნის ჩემეული ხილვა. იმისთვის, რომ, თავის მხრივ, ჩემი აღქმის ობიექტად ვაქციო ეს ჩემი არსებობა თუ ჩემი ქმედითობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზურგი უნდა ვაქციო კვიპაროსს და — იმის საპირისპიროდ, რასაც ადრე ჩავდიოდი, — ჩემსავე სულს უნდა ჩავხედო. მაშინ მე დავინახავ დერეალიზებულ, ჩემს ქმედითობად, ჩემს „მე“-დ გარდაქმნილ კვიპაროსს. სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელია არსებითი სახელის აღმნიშვნელი სიტყვა „კვიპაროსი“ თანდათანობით განეცხადისოს თავის თავს, ამოძრავდეს, ზმნის ელფერი შეიძინოს.

ყოველი ხატება თითქოს ჩემი ქმედითობის მდგომარეობაა, ჩემი „მე“-ს აქტუალიზაცია. მოდით, გრძნობის სახელი დავარქვათ ამ მდგომარეობას. დღევანდელმა ფსიქოლოგიამ უკვე დასძლია ის შეზღუდულობა, როცა გრძნობას უწოდებდნენ მხოლოდ სიამოვნებას თუ უსიამოვნებას, სიხარულს თუ მწუხარებას. ობიექტის ყოველ ხატებას, ჩვენს ცნობიერებაში რომ შემოდის, ან ტოვებს მას, შედეგად სუბიექტური რეაქცია მოსდევს, როგორც ჩიტის ტოტზე დაფრენა ან ფრთხიალით აფრენა აცახცახებს ტოტს, როგორც ელექტრობის ჩართვისას თუ გამორთვისას დენის ახალ მოძრაობას ვიწვევთ. ეს სუბიექტური რეაქცია სხვა არა არის რა, თუ არა საკუთრივ აღქმის აქტი, სულ ერთია, ხილვა იქნება ეს, მოძრაობა, გაცნობიერება თუ სხვა მისთანანი. სწორედ ამიტომ ვერ ვამჩნევთ მას: ზურგი უნდა ვაქციოთ ობიექტს, რომ შევნიშნოთ ხილვის ჩვენეული აქტი, მაგრამ ამ შემთხვევაში თვით ეს აქტი წყდება. აქ კვლავ გავიმეორებთ იმას, რაც ზემოთ უკვე ითქვა: ჩვენი შინაგანი ცხოვრება არ შეიძლება ჩვენივე უშუალო ჭვრეტის ობიექტი იყოს.

მივუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. თავდაპირველად ჩვენ გვთავაზობენ კვიპაროსზე ვიფიქროთ, შემდეგ კი მას გაგვაცლიან და გვაიძულებენ იმავე აზრობრივ ადგილას ალის აჩრდილი წარმოვიდგინოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვიპაროსის ხატებას ალის ხატებიდან უნდა ვხედავდეთ, კვიპაროსს ალად აღვიქვამდეთ, ალს კი — კვიპაროსად. ასეც და ისეც, ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ, რაკიღა ერთურთის მიმართ გაუმჭვირვალნი არიან. მაგრამ ფაქტია, რომ ამ სტრიქონის კითხვისას ჩვენთვის ანაზდად აშკარა ხდება მათი ურთიერთშეღწევადობის შესაძლებლობა, — ერთი, კვლავ იმად რომ რჩება, რაც არის, შეიძლება მეორის ადგილას მოგვევლინოს. ამ შემთხვევაში გამჭვირვალეა ორივე საგნის ჩვენეული შეგრძნება. (სიტყვა „მეტაფორა“ — გადატანა, გადასმა — ეტიმოლოგიურად ერთი საგნის ადგილას მეორის დაყენებას ნიშნავს. მაგრამ გადასმა მეტაფორაში ყოველთვის ორმხრივია: კვიპაროსი — ალი და ალი — კვიპაროსი. ეს გვიჩვენებს, რომ ადგილი, რომელზედაც გადაიტანება თითოეული საგანი, მეორის ადგილი კი არ არის, არამედ ორივესათვის საერთო ახალი გრძნობა. მაშასადამე, მეტაფორა — ესაა საგნის გადატანა მისი რეალური ადგილიდან გრძნობაში). შეგრძნება — კვიპაროსი და შეგრძნება — ალი იდენტურნი არიან. რატომ? არ ვიცით! ესაა მარად ირაციონალური ხელოვნებაში. ესაა პოეზიის აბსოლუტური ემპირიკა. ყოველი მეტაფორა უნივერსუმის კანონის აღმოჩენაა. და მას შემდეგაც კი, რაც მეტაფორა უკვე შეიქმნა, ჩვენთვის კვლავაც გამოუცნობი რჩება, რატომაა ეს ასე. ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ, რომ ეს ასეა, ჩვენ ვცოცხლობთ ამ კვიპაროს-ალის არსებობით.

ამით დავამთავროთ ჩვენი მაგალითის ანალიზი. ჩვენ აღმოვაჩინეთ სამი ელემენტისა თუ განზომილებისგან შედგენილი საგანი: საგანი-კვიპაროსი და საგანი-ალი, რომლებიც ახლა მესამე საგნის — „მე“-ს გრძნობისა თუ ფორმის უბრალო თვისებებად იქცევიან. ორივე ხატება ობიექტურ ხასიათს აძლევს ახალ სასწაულებრივ სხეულს, გრძნობა კი შინაგან სიღრმეს ანიჭებს მას. ორივე მხარის ტოლფასოვნებისთვის რომ გაგვესვა ხაზი, ჩვენ შეგვეძლო „კვიპაროსი-გრძნობის“ სახელით მოგვენათლა ეს ახალი საგანი.

პოეტის მიერ შექმნილი ეს ახალი საგანი ზოგიერთისთვის უზენაესი რეალობის სიმბოლოა. ასე მაგალითად, კარდუჩი ამბობს: „ლექსში მეტაფორა უნდა მეფობდეს; კურთხეულია მისი საუფლო. გამოგონებით შობილი ღირსია იმისა, რომ უზენაესი ჭეშმარიტება ერქვას“.

ესპანურიდან თარგმნა

**ბაჩანა ბრეგვაძემ**

(დასასრული იქნება)

ერის აღორძინება განათლებასა და კულტურაზე ზრუნვით იწყება. საქართველოში ყველაზე ძნელბედობის, ომისა და ზრუნვის ჟამსაც არასოდეს შეწყვეტილა შემოქმედებითი მაჯისცემა. ყველა ეპოქაში მუდამ გამოჩნდებოდნენ ხოლმე სულიერებაზე მზრუნველი ადამიანები, რომლებიც ეროვნული კულტურის გადასარჩენად საგანგებო დაწესებულებებსაც კი ქმნიდნენ. ასეთი პიროვნებები, საბედნიეროდ, დღესაც არიან.

ძალზე კეთილშობილური მისია იტვირთა გამომცემლობა „კანდელმა". — მისი მიზანია გააცნოს მკითხველს ქართული ქრისტიანული კულტურა, გააშუქოს ქვეყნის წარსულის ფურცლები. საზოგადოებამ უკვე შეაფასა მისი მოღვაწეობის პრაქტიკული ნაბიჯები — მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ვ.ბერიძის, მ.თარხნიშვილის, კ.ცანცაძის გამოკვლევები. გამოსაცემად მზადდება მ.თამარაშვილის და გ.ფერაძის ნაშრომები. მზია სურგულაძის „ბაგრატიონთა სამეფო სახლიც" გამომცემლობამ ახლახანს შესთავაზა მკითხველს. ეს წიგნი სამეცნიერო-პოპულარულ ჟანრს განეკუთვნება, თუმცა მისი მცირე ტირაჟი (2500) ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს მსგავს ლიტერატურაზე ამჟამად ჩვენში არსებულ მოთხოვნილებას.

ადამიანის მოღვაწეობის მრავალი დარგიდან ისტორიოგრაფია ყველაზე მეტად კონიუნქტურულია. იგი მაქსიმალურად ითვალისწინებს სოციალურ დაკვეთას და უშუალოდ ასახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებათა სისტემას. ახალი წყაროების გამოვლენა და ძველის ახლებური წაკითხვა მუდმივად ავსებს ჩვენს ცოდნას წარსულზე, მაგრამ ეს უკანასკნელი არასოდეს არ არის სრული და ამომწურავი. აქ ჭეშმარიტება ყველაზე მეტად შეფარდებითი და სუბიექტურია და მაინც, ღირებულებათა გადაფასებისას ისევ ისტორიას მივმართავთ, იქ ვეძებთ პასუხს არაერთ შეკითხვაზე, რომელსაც ცხოვრება სვამს ჩვენს წინაშე. დღეს ისტორიულ ლიტერატურაზე გაზრდილი მოთხოვნილება საკუთარი თავის შემეცნების ბუნებრივი გამოხატულებაა, გარდამტეხ ხანაში მუდამ ხდება ისტორიის ახლებური წაკითხვა, მისი ახალი პრობლემებით შევსება.

მ.სურგულაძის წიგნის თემა ადრე აკრძალულ თემათა რიცხვს განეკუთვნება, ვინაიდან ბაგრატიონთა ისტორია მუდამ წართმეული ქართული სახელმწიფოებრიობის ასოციაციას იწვევდა.

ისტორიოგრაფიას, აღმზრდელობითი ფუნქციის გარდა, თავისთავადი მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან საზოგადოება სოციალური მეხსიერების გარეშე განწირულია. ამ თვალსაზრისით ის უპირველესად არის ამბავი, რომლის გადმოცემისას ფორმა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსი.

დიდი ხნის განმავლობაში ქართული ისტორიოგრაფიული მეცნიერება ფართო საზოგადოებისაგან იზოლირებულად ვითარდებოდა, ხოლო მკითხველი თავის

## რეცენზიის მაგიერ




### მზია სურგულაძე.

# ბაგრატიონთა სამეფო სახლი.

გამომცემლობა „კანდელი".

თბილისი, 1995.

წარსულს ისტორიული რომანებით ეცნობოდა. ვინაიდან ამ ჟანრის ლიტერატურაში უზუსტობა განსაკუთრებით საზიანოა, მწერალს მკვლევარის როლში გამოსვლაც უხდებოდა. რთულ პრობლემებზე მარტივად წერის ხელოვნებას ისტორიკოს-მეცნიერები მხოლოდ ახლა ეუფლებიან და რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგება გამოცდილი მკვლევარი, რომელიც თავის ნაშრომს წყაროთა და უმთავრესად დოკუმენტთა ღრმა ანალიზზე ამყარებს.

მ.სურგულაძის წიგნი მომზადებულ მკითხველს გულისხმობს, რომლის მიმართ ავტორის პატივისცემა მთელი ნაშრომის მანძილზე იგრძნობა. ამის გამოვლინებაა აკადემიურობასთან შეზავებული პოპულარული სტილი, თუმცა სავსებით მისაწვდომი, მაგრამ არა პრიმიტიული.

მრავალდარგოვან ქართულ ისტორიოგრაფიაში საგვარეულო მატიანეები ტრადიციული ჟანრია. ის, რომ ჩვენამდე ასეთ ნაშრომთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია, ამაზე თუნდაც „ქართლის ცხოვრებაში" XIV ს-ის ანონიმთან მოხსენიებული „წიგნი ბაღუაშთა" მიგვანიშნებს. მაგრამ ბაგრატიონთა გვარის ისტორია სცილდება ამ ჟანრის ფარგლებს და ფაქტობრივად საქართველოს ისტორიად იკითხება. სწორედ ასეთმა შეფასებამ მიუჩინა „ქართლის ცხოვრებაში" ადგილი XI ს-ის ავტორის სუმბატ დავითის ძის ნაშრომს „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა".

წიგნის მცირე მოცულობას დიდი ინფორმაციული დატვირთვა აქვს. ნაშრომის ძირითად ღერძზე — ბაგრატიონების ისტორიაზე — აგებული საქართველოს წარსული ქართული, სომხური, ბიზანტიური, თურქული, სპარსული, რუსული, ევროპული წყაროების საფუძვლიან ცოდნას ეფუძნება. ფარნავაზიანებთან ბაგრატიონთა ნათესაური კავშირის დამაჯერებელი ჩვენებით, გვარის სომხურობის პრიმატს ნიადაგი ეცლება და ავტორი სამეფო დინასტიას უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე ერთ უწყვეტ ჯაჭვად წარმოადგენს. თუმცა ბაგრატიონებთან დაკავშირებით ყველაფერი საკრალური და ლეგენდარულია; ნაშრომში მკაცრად არის გამიჯნული ზეპირი და წერილობითი ძეგლები, ლეგენდა და რეალობა და ყველაფრის გათვალისწინებით წარმოჩენილია გვარის მნიშვნელობა ქართველი ერის და საქართველოს ისტორიისთვის, ვინაიდან ისტორიას მუდამ და ყველგან ქმნიდნენ და ქმნიან პიროვნებები. ავტორი თანმიმდევრულად აშუქებს ქართველ მეფეთა ტიტულატურას ერთიანი და დაშლილი ქვეყნის პირობებში, პროვინციის მეფეთა გაჩენის მიზეზებს, საქართველოს დანაწევრებას, ბაგრატიონთა მუხრანული განშტოების გაჩენას და მათი გამგებლობის ხასიათს, რუსეთში სამეფო ოჯახის წევრების ემიგრაციას, სამეფო ოჯახის მამულებს და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა წიგნში შესული გენეალოგიური ტაბულები, რომლებიც შეადგინეს მზია სურგულაძემ და მიხეილ ქავთარიამ. მსგავსი ტაბულების შექმნის ცდები, ადრეც იყო (მ.ბროსე, კ.თუმანოვი, ე.თაყაიშვილი, რ.მეტრეველი), მაგრამ ეს სიები ყველაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორც ერთიანი, ასევე დაშლილი საქართველოს გამგებლებზე, მათ ოჯახებზე და ყველაზე მეტად ასახავს ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევებს. თუმცა მსგავს ნაშრომებში ძალზე ძნელია ყველაფრის სრულად გათვალისწინება. მაგალითად, აქ არ არის მითითებული რუსუდანის ქმრის, არზრუმის ამირას მუღის ად-დინ ტუღრილ-შაჰის ვაჟის სახელი — ღიას ად-დინი (ნათლობის სახელი დიმიტრი) (გ.ჯაფარიძე); უფრო მისაღებად გვეჩვენება 1633 წ. როსტომის გამეფების თარიღად, გიორგი V გამეფების თარიღად 1418 წ. (ვ.კიკნაძე).

ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ჩვენება იმისა, რომ ძლიერი და განუყოფელი სახელმწიფოს შექმნისაკენ სწრაფვა საქართველოს ისტორიის გამჭოლი ხაზია. ეს იდეა, რომელმაც რაღაცა ფორმით უკვე ფარნავაზის ეპოქაში პოვა ხორცშესხმა, დაგვირგვინდა ბაგრატ III დროს და არ ჩამქრალა დაშლილ ქვეყანაშიც. ამ ხანის მოღვაწეების იდეალი კვლავ გაერთიანებული საქართველოა, იმათიც, ვინც ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე იდგა (ლუარსაბ I, სიმონ I, კახეთის მეფე თეიმურაზი და სხვ.) და იმათიც, ვინც ძლიერ დამპყრობელთან თანამშრომლობას არჩევდა. გავიხსენოთ საქართველოს გაერთიანებისთვის გიორგი სააკაძის ნაბიჯები, ლევან II დადიანის ირანთან კავშირები და ქართლის მეფე როსტომთან მისი დანათესავება. ნაშრომში მოტანილი შემთხვევები, როდესაც ქართველი მეფეები წარმატებებს აღწევდნენ ამ მიმართულებით, შეიძლება შეივსოს 1518-18 წწ. დავით X-ის მიერ ქართლ-კახეთის გაერთიანების, სიმონ I მიერ იმერეთის შემოერთების ცდების, როსტომ მეფის ქართლსა და კახეთში გამგებლობის (1648-1656) ფაქტებით.

წიგნი მინორული განწყობით მთავრდება. ავტორის აზრი, რომ „სამი დიდი სახელმწიფოს — რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის ინტერესების შეჯახებამ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე" სახელმწიფოს გაერთიანების „პერსპექტივა სამუდამოდ ჩაახშო", ერთგვარი უკმარისობის გრძნობას იწვევს. მრავალსაუკუნოვანი გაკვეთილი, რომლიდანაც საქართველოს პოლიტიკის მესვეურებმა დასკვნა გამოიტანეს, იყო ის, რომ არც ირანი და არც თურქეთი არ დაუშვებდნენ საქართველოს გაერთიანებას. პოლიტიკური ტრადიცია დასავლეთ საქართველოს — ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ირანის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. ამ რთულ ვითარებაში რუსეთზე ორიენტაციის ერთადერთი გამართლება ისევ სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის იდეაშია. ამ იდეას არაერთი ქართველი მეფე შეეწირა. გავიხსენოთ თუნდაც კახთა მეფე ალექსანდრე II, ქართლის მეფე ლუარსაბ II, პეტრე I და ვახტანგ VI-ის ურთიერთობა, პოლიტიკური ორიენტაცია და უკანასკნელის ტრაგედია, აღა მაჰმად-ხანის დამსჯელი ექსპედიცია და სხვ. ძვირი დაუჯდა ქვეყანას გაერთიანება. დიდი ხნის ოცნების ასრულება მაშინ მხოლოდ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფასად მოხერხდა. მგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. დღეს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებული დამოუკიდებელი საქართველო კვლავ ბეწვის ხიდზე გადის. შედგება თუ არა იგი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ანუ როგორი იქნება ამირანის ლეგენდის დასასრული, რომელიც ჩვენს თვალწინ იწერება და რომლის ავტორებიც თითოეული ჩვენგანია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყველა ამ საკითხზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა მზია სურგულაძის წიგნმა, რისთვისაც მის ავტორსაც და გამომცემელსაც მადლობა მინდა ვუთხრა.

**გიული ალასანია**

## პროფესია

# თეთრი სახლის ასტროლოგი

აშშ-ს ისტორიაში, შემდგომში როგორც უნდა განვითარდეს იგი, რონალდ რეიგანის საპატიო ადგილს, ალბათ, ვერაფერი დაემუქრება. მე-40 პრეზიდენტის ზეობის წლებში ხომ მისმა ქვეყანამ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე უზარმაზარი ნაბიჯები გადადგა.

რა თქმა უნდა, ამ საქმეში რეიგანი მარტო არ ყოფილა. მის უკან მთელი ადმინისტრაციული აპარატი, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები იდგა. ცნობილია კონკრეტული პიროვნებები, რომელთა მხარდაჭერა დიდ სამსახურს უწევდა პრეზიდენტს.

პოლიტიკურ კულუარებში, თურმე, კიდევ ერთ სახელს იცნობდნენ, სახელს, რომელიც ფართო აუდიტორიამ შედარებით გვიან გაიგონა.

ჯოან ქვიგლი — ნენსი რეიგანთან მეტად დაახლოებული ასტროლოგი ქალი...

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს „თეთრი სახლის ასტროლოგის" შესახებ ანდრეი სიდორინის პუბლიკაცია, რომელიც ჟურნალ „ეხო პლანეტიდან" შემოკლებით გადმოვბეჭდეთ.

... მის სახელთან დაკავშირებული სენსაციური ცნობები ამერიკულ პრესაში 1988 წლის მაისში, პრეზიდენტ რეიგანის ერთ-ერთი უახლოესი მრჩევლის — დონალდ რიგანის წიგნის დღის სინათლეზე გამოსვლის კვალდაკვალ გაჩნდა. ის იძულებული იყო, დაეტოვებინა თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელის პოსტი პრეზიდენტის მეუღლესთან — ნენსი რეიგანთან მწვავე უთანხმოების გამო. სწორედ კონფლიქტის მიზეზებზე მოუთხრო მან წიგნში „ისტორიისთვის", რომელმაც აფეთქებული ბომბის ეფექტი მოახდინა. რიგანმა თავის მოვალეობად მიიჩნია, გაეხსნა „კარის პოლიტიკური სამზარეულოს" ერთი, შესაძლოა, უდიდესი საიდუმლო, შეატყობინა რა თავის თანამემამულეებს იმის შესახებ, რომ „პრეზიდენტის გრაფიკი და, შესაბამისად, მისი ცხოვრება, აგრეთვე, ამერიკელი ერის ყველაზე უფრო სერიოზული საქმეები მნიშვნელოვანწილად პირველი ლედის ასტროლოგის კონტროლის ქვეშ იმყოფება"...

ოფიციალური თეთრი სახლი შეეცადა, სენსაცია წმინდა წყლის გაზვიადებად წარმოეჩინა. ამავე მიზანს ისახავდა ნენსი რეიგანის საპასუხო წიგნი —" „ჩემი ჯერი".

ამით, შესაძლოა, ყველაფერი დამთავრებულიყო, რომ ახლა ხმა არ ამოეღო თვით ქვიგლის, რომელიც ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ „ოფიციალური პოლიტიკური ასტროლოგის" საქმეს ჩამოშორდა.

... აშშ-ს წიგნების მაღაზიათა თაროებზე გაჩნდა მისი ბესტსელერი „რას ამბობს ჯოანი? ჩემი შვიდი წელი ნენსი და რონალდ რეიგანებთან თეთრი სახლის ასტროლოგის როლში".

— გამოგიტყდებით, დიდ შვებას ვგრძნობ იმის გამო, პოლიტიკით რომ აღარ ვარ დაკავებული. ეს მართლაც ძალიან მომქანცველი და საპასუხისმგებლო საქმეა, — სანდოდ თქვა ჩვენი საუბრისას ქალბატონმა ქვიგლიმ, საშუალო ასაკის მოხდენილმა ქალმა, სახის ლამაზი, სწორი ნაკვთებითა და თაფლისფერი თვალების რბილი და ღრმა გამომეტყველებით...

— მართალი გითხრათ, არასოდეს მიფიქრია წიგნის დაწერა, — ქვიგლი საუბრის მთავარ თემაზე გადავიდა, — როცა დონალდ რიგანმა თავისი გამოცემით ამდენი ხმაური გამოიწვია, უკუვაგდე ყველა განზრახვა იმასთან დაკავშირებით, რომ ოდესმე აღვწერდი რეიგანების თეთრ სახლში ჩემი მუშაობის წლებს. მაშინ მე პრაქტიკულად არაფერი ვუთხარი პრესას, პირველ რიგში იმიტომ, რომ არაფერი მევნო პრეზიდენტისთვის, რომელსაც ვაღმერთებდი და რომელსაც მთელი ძალისხმევით ვემსახურე არანაკლებ შვიდ წელიწადს.

ამას გარდა, მე საერთოდ არ ვაქვეყნებ ჩემი პროფესიული საქმიანობის შესახებ. მაგრამ, როგორღაც, 1987 წლის დასასრულს ნენსი რეიგანმა მითხრა: „ჯოან, შენ ადმინისტრაციაში ძალიან სერიოზულ როლს თამაშობ". ნენსიმ სიტყვებით გამოხატა ის, რაც უკვე ვიცოდი, ვაწვდიდი რა იდეებსა და ასტროლოგიურ რჩევებს, რომლებიც აყალიბებდნენ ადმინისტრაციის პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან და სხვა სერიოზულ საკითხებთან დაკავშირებით. ამიტომ, გამოსვლამ ნენსის წიგნისა — „ჩემი ჯერი", რომელშიც გამოტოვებულია, თუ როგორ სარგებლობდა ის ასტროლოგიითა და ჩემი რეკომენდაციებით, მაიძულა, გადამეხედა ჩემი ძველი დამოკიდებულებისთვის. და მივიჩნიე, რომ დადგა დრო, მეთქვა ამის შესახებ. თავის წიგნში, — განაგრძობს ქვიგლი, — დონალდ რიგანი ნათელმხილველს მიწოდებს, მაგრამ ნათელმხილველები — ეს რაღაც მისტიკური და სპირიტუალია.

არც ერთს და არც მეორეს ის საკუთარ თავს არ აკუთვნებს.

— ჩემი ასტროლოგიური ანალიზი ემყარება ასტრონომთა მონაცემებსა და ეგმ-თა დახმარებით შედგენილ რუქებს. მე დასკვნებს შემოწმებულ მეცნიერულ მასალაზე დაყრდნობით ვაკეთებ, ზუსტად ისე, როგორც, მაგალითად, ექიმი განამყარებს დიაგნოზს ლაბორატორიული მონაცემებით, ან სტატისტიკის გამოყენებით პროგნოზს აგებს ეკონომისტი. მე ბროლის სფეროებს კი არ ჩავჩერებივარ, როგორც ზღაპრული ჯადოსნები, არამედ ასტროლოგიური რუქების განსხვავებულ სახეობებს ვსწავლობ და მივდივარ კარგად გააზრებულ დასკვნებამდე.

— თქვენ ამას იმიტომ გეუბნებით, — ღიმილით მიხსნის თანამოსაუბრე, — რომ სიტყვა „ასტროლოგიის" ხსენებისას ადამიანთა უმრავლესობას მაშინვე გაზეთების მიერ გასართობი ინფორმაციების განყოფილებაში გამოქვეყნებული ჰოროსკოპები აგონდება. ბევრ მათგანს, როგორც ცნობილია, ასტროლოგები არც ადგენენ. და ერთი მიზეზთაგანი, რამაც წიგნის დაწერა გადამაწყვეტინა, არის ის, რომ თანამედროვე ასტროლოგიის შესახებ მცდარი წარმოდგენა ბატონობს, მათ შორისაც კი, ვისაც სჯერა ჩემი პროფესიისა, მაგრამ მცირე ინფორმაცია აქვს მასზე.

მაგრამ დავუბრუნდეთ რეიგანებს. როგორც ქვიგლი ამბობს, ნენსის მეშვეობით, მას შეეძლო პირდაპირ დაკავშირებოდა პრეზიდენტს.

— პრეზიდენტის ყველა პრესკონფერენციისთვის, გამოსვლათა უმრავლესობის, ქვეყნის მდგომარეობის შესახებ მისი ყოველწლიური მიმართვების, მისი „ბოინგის" აფრენისა და დაჯ-

გაგრძელება მე-10 გვ.

# თეთრი სახლის ასტროლოგი

მე-9 გვერდიდან

დომის დროის დადგენაზე მე ვიყავი პასუხისმგებელი.

ასტროლოგიურმა რუქებმა უკარნახეს ქვიგლის 1980 წლის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ჯიმი კარტერთან ტელედებატების, 1984 წელს კი, როცა რეიგანმა მიაღწია თეთრ სახლში ხელახალ არჩევას მეორე ვადით, უოლტერ მონდეილთან ორი სატელევიზიო დუელის რეიგანისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი დრო. ასტროლოგის მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია ადმინისტრაციის კონგრესისთვის „ხელების გადაგრეხვის" ბევრ კამპანიას, პრეზიდენტისთვის სიმსივნის ამოკვეთის ქირურგიულ ოპერაციას და აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში რეიგანის „კაცის" — ენტონი კენედის დანიშვნის გამოცხადებასაც კი...

— ასტროლოგია, როგორც თვით ცხოვრება, ბედისა და არჩევანის თავისუფლების საინტერესო შეთავსებაა. ფილოსოფოსები საუკუნეობით დაობდნენ იმაზე, თუ რომელია მათგან უმთავრესი, — შენიშნავს ქალბატონი ქვიგლი, — ჩემი შეხედულებით, სხვადასხვა დროს პლევარილებს ან პირველი, ან მეორე. ასტროლოგი სარგებლობის მომტანი შეიძლება იყოს „არჩევანის თავისუფლების" მომენტებში. მას შეუძლია გააფრთხილოს თავისი კლიენტი, როგორ დაუძვრეს საფრთხეს, რომლისგანაც შესაძლებელია თავის დაღწევა. მაგრამ ზოგჯერ, როგორც პრეზიდენტ ლინკოლნის მკვლელობის შემთხვევაში, მბრძანებლობს ბედისწერა, ბედი. და აქ ასტროლოგია უკვე უძლურია, რამე გააკეთოს.

„თავისუფალი არჩევანის" დროს ყოველთვის ვაფრთხილებდი რეიგანს და ვეხმარებოდი უსიამო მოვლენებისგან თავის დაღწევაში. ვცდილობდი, არ შეხვედროდა პუბლიკას პერიოდებში, როცა შეიძლებოდა ყველაზე უფრო სუსტი ყოფილიყო, აგრეთვე, არ გამოსულიყო მაშინ, როცა შეეძლო შეცდომის დაშვება.

ჩემი თანამოსაუბრის ამ ასტროლოგიურმა წვრილმანებმა უნებლიეთ გამახსენა ის მრავალრიცხოვანი „წამოცდენები", რომლებსაც ხშირად ჰქონდა ადგილი პრეზიდენტ რეიგანის სახალხო გამოსვლებში, განსაკუთრებით, მისი მმართველობის პირველ წლებში. მახსოვს, როგორ ირონიულად გამოეხმაურა პრესა თეთრი სახლის მეთაურის მიერ ბრაზილიის ბოლივიაში არევის ფაქტს, ან კიდევ მის მტკიცებას, თითქოს გაშვებული საკონტინენტთაშორისო რაკეტების უკან დაბრუნება შეიძლება.

მან შეამჩნია ჩემი კითხვის გამომხატველი მზერა და დაასწრო კითხვას, რომელიც მებადებოდა.

— რაც მეტ ჰოროსკოპებს ვადგენდი რეიგანის პრესკონფერენციებისთვის, მით უფრო სრულყოფილს ვხდიდი ტექნიკას. კერძოდ, შემეძლო გარანტირება, რომ თუ პრეზიდენტი უმნიშვნელოდ შეცდება ან წამოსცდება რამე გამოსვლების დროს, ეს არ იმუშავებს მის წინააღმდეგ და მალე დაივიწყებენ... მე ვადგენდი დროს პრეზიდენტ რეიგანის გამოსვლებისთვის, რამდენიმე განსაკუთრებული შემთხვევის გამოკლებით, როცა პოლიტიკური მოსაზრებებით, სიტყვის წარმოთქმა საჭირო იყო კონკრეტულ მომენტში. მისი გამოსვლა რეიკიავიკის შემდეგ ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისთაგანი გახლდათ.

ჩვენი საუბარი, მგონი, გადავიდა ყველაზე საინტერესო თემაზე — ასტროლოგის როლი საბჭოთა ხელმძღვანელთან აშშ-ს პრეზიდენტისთვის ისტორიული უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადებასა და დაგეგმვაში. თავის წიგნში ქვიგლი იტყობინება, რომ მან ხელი შეუწყო ზესახელმწიფოების ურთიერთობის გაუმჯობესებას, აგრეთვე, პრეზიდენტ რეიგანის წარმოდგენის შეცვლას საბჭოთა კავშირზე, როგორც „ბოროტების იმპერიაზე"...

— ყველაფერი ნამდვილად ასე იყო. არც აქ ვაზვიადებ. როცა 1985 წელს მიხეილ გორბაჩოვი ახალი საბჭოთა ლიდერი გახდა, მან მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. მის შესახებ ამერიკულ პრესაში ვრცელი სტატიები ქვეყნდებოდა, ოღონდ მათში არ იყო დიდი ნაწილი ჩემთვის, როგორც ასტროლოგისთვის მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული ცნობებისა, კერძოდ, ბევრი ფაქტი მისი ცხოვრებიდან მანამდე, სანამ გავლენიან სახელმწიფო პოსტს დაიკავებდა. ზოგიერთი მონაცემები, რომლებიც ჩვენმა მმართველობამ გამოარკვია, ნენსი რეიგანმა შემატყობინა. ყველაზე მეტად მაინტერესებდა ინფორმაცია მისი დაბადების შესახებ. შევიტყე, რომ ის დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდეისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის სხვა ფაქტი მაკლდა. ზუსტი ჰოროსკოპის შესადგენად ასტროლოგისთვის აბსოლუტურად აუცილებელია იცოდეს ადამიანის დაბადების ზუსტი დრო. მაგრამ თუ ეს უცნობია ან მიახლოებით არის ცნობილი, სხვა არსებული მონაცემებით მისი გამოთვლის შესაძლებლობა არსებობს.

გორბაჩოვის შემთხვევაში ყურადღება მივაქციე, პირველ რიგში, მისი დაბადების თარიღს, ფაქტს, რომ ის ინტელექტუალია და დროს, როცა ის ხელისუფლებაში მოვიდა. აქედან გამოვიტანე ჰიპოთეზა მის ჰოროსკოპში სხვადასხვა ფაქტორების ადგილის შესახებ. შემდეგ ყველაფერი ეს მისი ცხოვრების სხვა ცნობილ ეპიზოდებთან შევაჯერე და მათემატიკური გაანგარიშებები გავაკეთე. ჩემი დასკვნების გადასამოწმებლად გავაანალიზე სხვა დამხმარე ასტროლოგიური რუქები, რომლებმაც დაამტკიცეს მათი სისწორე.

საბჭოთა ლიდერის ორი მთავარი პლანეტაა — მერკური, მერწყულის თანავარსკვლავედის გავლენის სფეროში, და მზე, თევზების თანავარსკვლავედის გავლენის სფეროში. მერკური, გონების პლანეტა, დამახასიათებელია ინტელექტუალებისთვის, ხალხისთვის, რომელთა ძალა ძირითადად გონებრივი ნიჭია. ეს პლანეტა უკავშირდება ხალხს, რომელთაც შეუძლიათ იდეების შეთვისება და სხვებამდე მიტანა. მერკურის მერწყულის თანავარსკვლავედთან შეთავსება მეტყველებს იმაზე, რომ საუბარია ადამიანზე, რომელსაც კარგად ესმის სხვა ხალხისა. ის იშვიათად შეიძლება შეცდეს მეორის ხასიათში თუ მისი გამოსვლის მოტივებში. ასეთ ადამიანს უყვარს ლიტერატურა, კულტურა, მაგრამ, განსაკუთრებით — აზრები. გარდა ამისა, ჩემს მიერ შედგენილი ჰოროსკოპიდან ნათელი გახდა, რომ გორბაჩოვი — ეს განსაკუთრებით ღრმა პიროვნებაა, ადამიანი, რომელიც ხედვის ნიჭს ფლობს.

მისი ნატურის სხვა ძლიერ შტრიხებზე მეტყველებს მზის შეთავსება თევზების თანავარსკვლავედთან. ეს დამახასიათებელია მხოლოდ მათთვის, ვინც მზად არის, სხვებისთვის შეეწიროს. ამავე დროს ასეთი ადამიანი პრაგმატულია, იცნობს სამყაროს. როგორც წესი, ასეთი ხალხი უყვართ, და თუ საუბარია პოლიტიკურ მოღვაწეზე, ის ძალზე პოპულარული ხდება.

როცა გორბაჩოვის ასტროლოგიურ რუქაზე ვაანალიზებდი მერკურის მდებარეობას, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ურთიერთობის გენიალურ შესაძლებლობაზე მეტყველებდა, მაშინვე „დიდ კომუნიკატორად" მონათლული რონალდ რეიგანი გამახსენდა. მოგვიანებით, როცა ორი ლიდერის ჰოროსკოპები ერთმანეთს შევადარე, აღმოვაჩინე ხასიათების განსაცვიფრებელი დამთხვევა, რაც მეტყველებდა იმაზე, რომ ამ ორ ადამიანს ურთიერთგაგებისა და წარმატებული ერთობლივი მუშაობის უზარმაზარი პოტენციალი ჰქონდა. მოვიტან მხოლოდ ერთ დეტალს: გორბაჩოვის მერკური იმყოფება მერწყულის თანავარსკვლავედის — რეიგანის ზოდიაქოს ნიშნის — გავლენის სფეროში. მათი ასტროლოგიური რუქების შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ ორ მსოფლიო ლიდერს ბედისგან ურთიერთობა, იდეების გაცვლა და ურთიერთგაგებამდე მისვლა ეწერა.

ყოველივე ამის შესახებ მოვუთხრე ნენსის და შემდეგ დავარწმუნე ის, რომ პლანეტის ამ ორი ყველაზე გავლენიანი ადამიანის ურთიერთკავშირს შეეძლო არა მხოლოდ ზესახელმწიფოებს შორის ურთიერთობის, არამედ მთელი მსოფლიო ისტორიის მსვლელობის შეცვლაც. მათი პირველი, 1985 წლის ნოემბრის ჟენევის შეხვედრის წინ განუწყვეტლივ ვუმეორებდი ნენსის, რომ გორბაჩოვი გამოირჩევა ყოფილი საბჭოთა ხელმძღვანელებისგან და თუ რონი ჟენევაში „ბოროტების იმპერიის" შესახებ თავისი ამოჩემებული აზრით წავა, ეს იქნება დიდი შეცდომა. „გორბაჩოვი შეიძლება შეუვალია, მაგრამ ძალიან ჭკვიანია და ახალი იდეებისთვის გახსნილი. ისინი აუცილებლად ვაუგებენ ერთმანეთს, თუ, რა თქმა უნდა, რონი საჭირო განწყობით წავა ჟენევაში. ის აუცილებლად უნდა გაემგზავროს ჟენევაში, მაგრამ არა როგორც შეურიგებელი ანტაგონისტი, არამედ როგორც პოტენციური მშვიდობისმყოფელი და მეგობარი", — ვარწმუნებდი მე. შემდეგ, ნენსის მეშვეობით, გორბაჩოვთან ყოველი საუბრის წინ რეიგანს კონსულტაციებს ვაძლევდი...

— და მაინც, — შევაწყვეტინე წარმტაცი თხრობა ქვიგლის, — თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ თავს ვერ დააღწევ შთაბეჭდილებას, რომ მისი ავტორია არა მხოლოდ ასტროლოგი, არამედ პოლიტიკოსიც, რომელიც, სანამ რჩევას მისცემდეს, ყოველმხრივ აფასებს კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციებს...

— ასტროლოგი, რომელსაც პოლიტიკაში ჩააბამენ, პოლიტიკოსიც უნდა იყოს. განათლებით ისტორიკოსი ვარ და პოლიტიკური მოვლენების განვითარების ანალიზი ისტორიულ რეტროსპექტივაში ყოველთვის მაინტერესებდა, როგორც ასტროლოგს. თუმცა, არ ვმალავ, რომ მანამ, სანამ ასტროლოგიაზე გადავიდოდე, ყოველთვის ვცდილობ, მთავარ მიზნებთან დამოკიდებულებაში მყოფი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიეღო. თუ ავიღებთ იმავე ჟენევის შეხვედრას, მე ვიცოდი, რომ რეიგანს იმ დროს ჰქონდა ძლიერი პოზიცია საბჭოთა ხელმძღვანელთან მოლაპარაკებისთვის.

ქვიგლის ზემოთ მოტანილი გამონათქვამები და თვით მისი წიგნი არაერთგვაროვან გრძნობებს იწვევს. მაგრამ, ამ ყველაფერთან ერთად, ვფიქრობ, უსამართლობა იქნებოდა ეჭვქვეშ დაგვეყენებინა ამ ქალის გულწრფელი რწმენა „პოლიტიკური ასტროლოგიის" დიდი შესაძლებლობებისა, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა...

თარგმნა

**ზაზა ბიბილაშვილმა**

# იდუმალებით მოსილი ფსიქიკა

## შთაგონება მანძილზე

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ქალაქ პავრში ცხოვრობდა პარაფსიქიკური უნარით ცნობილი ნერვული ავადმყოფი ლეონია..., რომელზედაც ექიმ ჟიბერს, პროფესორ ჟანესა და პროფესორ რიშეს მრავალი ექსპერიმენტი ჰქონდათ ჩატარებული. ერთხელ, როდესაც რიშე და ჟიბერი პარიზში იმყოფებოდნენ, ჟანემ ლეონია ჰიპნოზური ძილით დააძინა და შთააგონა, რომ იგი სიზმარში პარიზს მიემგზავრება, რათა რიშე და ჟიბერი მოინახულოს. უეცრად ლეონიამ განაცხადა: „იქ ხანძარია". ჟანემ სცადა მისი დამშვიდება, მაგრამ ლეონია ჯიუტად გაიძახოდა: „მე თქვენ გარწმუნებთ, მუსიე ჟანე, იქ ხანძარია", ჟანემ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგო, რომ სწორედ იმ დღეს, 15 ნოემბერს, დილის 6 საათზე, ხანძარმა პროფესორ რიშეს ლაბორატორია გაანადგურა. ჟანემ კი სწორედ იმ დღეს — 17 საათზე დააძინა ლეონია, პავრში ჯერ კიდევ არავის, მათ შორის ჟანესაც, არ შეეძლო სცოდნოდა



ხანძრის შესახებ.

ამგვარივე შემთხვევა მოხდა იმავ ლეონიაზე ცდის ჩატარებისას, მაგრამ უკვე სიფხიზლის მდგომარეობაში. ერთხელ, საღამოთი, რიშე რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ ლეონიას შეეკითხა:

— რა დაემართა ბატონ ლანგლუას (ლაბორატორიის გამგეს, სადაც მუშაობდა იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა რიშე).

მან ძალიან სწრაფად უპასუხა:

— ხელი დაიწვა. მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა გადასხმის დროს.

— რას ასხამდა?

— წითელ სითხეს, პატარა შუშაში... კანი ხელად აებურცა.

„უფრო ზუსტად თქმა შეუძლებელია", — წერდა რიშე. როგორც შემდეგ გამოირკვა, ორი საათის წინ ლანგლუა, რომელიც ლაბორატორიაში ქიმიურ ცდას ატარებდა, კოლბაში ბრომის გადასხმისას წინდაუხედავად აჩქარდა. ეს „წითელი სითხე" მას ხელსა და ნინამხარზე გადაესხა, სადაც იმწამსვე საკმაოდ დიდი ზომის „ბუშტუკი" ამოებურცა. ლეონია ლაბორატორიაში არ დადიოდა და არც სხვა ვინმე იქ მიმსვლელთაგანი, ამ ხნის განმავლობაში, რიშესთან არ მოსულა.

## მკურნალობა უწამლოდ

### შინაური ცხოველები და არტერიული წნევა

უკვე მერამდენე წელია, ამერიკელი ფსიქიატრი ე.კეინი ადამიანისა და შინაური ცხოველების ურთიერთობის საკითხს სწავლობს. ხანგრძლივმა დაკვირვებებმა მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შინაური ცხოველები, განსაკუთრებით ძაღლები და კატები, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ოჯახის წევრთა ურთიერთობაზე და შესამჩნევად ამცირებენ კონფლიქტებს. კეინი ფიქრობს, რომ შინაურ ცხოველთა ზემოქმედებას ადამიანისთვის უფრო ფსიქოლოგიური სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ფიზიოლოგიური. ეს უკანასკნელი საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს სერიოზულ შესწავლას, თუმცა, მეცნიერის აზრით, ერთი რამ ახლავე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: შინაურ ცხოველებთან ურთიერთობა დაბლა სწევს ადამიანის არტერიულ წნევას. ამ აღმოჩენამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს მედიკოსთა შორის.

### ქალაქი და ჰიპერტონია

როგორც კი სენეგალის შორეულ რაიონებში იაპონური ტრანზისტორული რადიომიმღებები გამოჩნდა, მცხოვრებთა უმრავლესობას მაშინვე სისხლის წნევამ აუწია. ნუთუ ტრანზისტორებია ამაში დამნაშავე?

დაკარის უნივერსიტეტის გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა პროფესორის — კოატის აზრით, ჰიპერტონია ფსიქოლოგიური დაავადებაა. დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ სენეგალელ გლეხთა უმრავლესობა, როგორც კი მათ ყოფაში რადიო, კინო და ტელევიზია გამოჩნდა, ჰიპერტონიით დაავადდა.

ასეთსავე აზრს გამოთქვამს შვეიცარიელი კარდიოლოგი, პროფესორი პიერ მორე. იგი აღნიშნავს, რომ სისხლის წნევის მომატება შეიმჩნევა არამარტო აფრიკის ტომებში, არამედ იემენელთა შორისაც, რომლებიც ქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად. ჰიპერტონიით დაავადნენ აგრეთვე მაღალმთიანი სოფლებიდან ქალაქში ჩამოსახლებული სამხრეთ ამერიკელი ინდიელები. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ჰიპერტონია სხვა არაფერია, თუ არა „საწევრო შესატანი" ცივილიზაციაში.

ერიდეთ ხმაურს, მოიპოვეთ სიმშვიდე და დაგტოვებთ წნევა.

ფეხბურთი

# «აიაქსის» შთაგონების ქვეშ

## მწვრთნელ სტეფან კოვაჩის მონოლოგი (დასასრული)

„აიაქსის" მთავარი დამრტყმელი ძალა იყო ფეხბურთელების ინდივიდუალური მიღწევები. მათ უკვე მაშინ მიაღწიეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის წოდებას, როგორი პარადოქსალურიც არ უნდა იყოს ეს. ჩემი „აიაქსში" მისვლიდან ოთხი თვის შემდეგ, ხაპელმა, ჩემმა კოლეგამ „ფეიენოორდიდან", გახსნილად აღიარა, რომ „აიაქსის" თამაშში მოხდა რაღაც ცვლილებები, მაგრამ მან ვერ გაიგო, თუ რაში მდგომარეობდა ეს და რით იყო გამოწვეული. ასე თუ ისე, მისი აზრით, გუნდი უფრო



იოჰან ნეესკენსი

ინიციატიური გახდა, მასში უფრო შეიმჩნეოდა კოლექტიური თამაშის ნიშნები, ვიდრე ადრე.

„აიაქსში" კლუბური პატრიოტიზმის სული მეფობდა. მოთამაშეები მზად იყვნენ, დაეხარჯათ მთელი თავისი ენერგია და ძალა. ხშირად, საპასუხისმგებლო თამაშების დროს მეგონა, რომ მათგან მეტის მოთხოვნა არ შეიძლებოდა, მაგრამ ისინი თავის თავში სულ ახალ და ახალ ძალებს პოულობდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსალიზმის წყალობით ორმაგდება და შეიძლება, სამმაგდება კიდეც ფეხბურთელების შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, თუ ისინი ამისთვის სპეციალურად არიან მომზადებულნი და თუ არც ერთი მათგანი არ აპირებს მოედანზე უმოქმედოდ დგომას გუნდელის ხარჯზე.

ავიღოთ კიდევ ერთი აქტუალური თემა: თამაში ჯარიმის ზღვარზე ანუ ანტიფეხბურთი?

გასახდელსა თუ მატარებელში, მე მიხდებოდა მოთამაშეებთან ლაპარაკი ანტიფეხბურთის თემაზეც, ისე როგორც „აიაქსი" ტიპიურად არაძალისმიერი გუნდია, მაგრამ თუ საჭიროა, მას შეუძლია ძალისმიერი ფეხბურთის თამაში, მაგრამ როგორც გამონაკლისი. მე ხშირად ვეუბნებოდი მოთამაშეებს იმას, რომ ანტიფეხბურთის მოთამაშე ადამიანები არიან ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც არა აქვთ ტექნიკური ოსტატობა, რომლებიც ზედმეტად ათლეტურები არიან ანდა ისინი, რომელთაც დაკარგული აქვთ ფეხბურთელის აღნაგობა და არაფერი დარჩენიათ, ანტიფეხბურთის თამაშის გარდა.

მე მგონია, რომ ამ ხიფათთან ბრძოლაში მწვრთნელებმა (თუ გადამწყვეტი არა) მნიშვნელოვანი როლი უნდა შეიტანონ, რადგან ის მხოლოდ მწვრთნელი კი არა, აღმზრდელიცაა.

დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთელის პროფესიონალურმა მომზადებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მას აღზრდისა და კულტურის დონის ამაღლებაში.

როცა მე „აიაქსში" ვიყავი, ჩემს წინ (თეორიულად და პრაქტიკულად) დადგა საკითხი, თუ რამდენი კარგი და გააზრებული მატჩის ჩატარებას შეძლებს გუნდი ერთ სეზონში? მე ამაზე ბევრი ვიფიქრე. ვკითხე აზრი ამის შესახებ ჩემს კოლეგებს. ბრაზილიელებმა დაბრკოლების გარეშე განაცხადეს, რომ კლუბს შეუძლია ჩაატაროს ასეთი 90 მატჩი (საზღვარგარეთული გასტროლების ჩათვლით). მაგრამ მე მაინც მგონია, რომ კარგმა გუნდმა, თუ იგი ხვდება თავისივე ძალის გუნდს, არ შეიძლება ჩაატაროს 60-65 მატჩზე მეტი. კარგად მომზადებული კლუბიც კი შეიძლება დაიღალოს. ლაპარაკია არა ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ დაღლაზე.

ამიტომ მე მაღელვებს „აიაქსის" მომავალი, რადგან, რაც უფრო დიდია პროფესიონალური გუნდის რეპუტაცია, მით უფრო მეტს მოითხოვენ მისგან; მით უფრო არსებითი ხდება მისთვის ფინანსური პრობლემები. გუნდის შენახვა ძალზე ძვირი ღირს, აქედან გამომდინარეობს რენტაბელურობის დაცემა და დეფიციტი ბიუჯეტში.

გუნდში 17 ფეხბურთელი მყავდა, რაც საკმარისი იყო ძირითადი შემადგენლობისთვის, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ 17 მოთამაშიდან ოთხი, ყოველ შემთხვევაში, უფრო დაბალი დონის იყო, ვიდრე დანარჩენი. ჩემთვის იდეალურია გუნდი, რომელიც 18 (ოღონდ სრულყოფილი) ფეხბურთელისგან შედგება და არა 25 ან 30-სგან, როგორც ეს ზოგიერთ კლუბებშია. ვსაყვედურობ ჩემს თავს, როცა მახსენდება, თუ ძალზე ხშირად, სიფრთხილის გამო, როგორ ვიყენებდი ერთსა და იმავე ფეხბურთელებს.

ჩემი გამოცდილება მკარნახობს, რომ გუნდის ერთ სეზონში გუნდის იდეალურად მომზადება შეიძლება, მაგრამ ეს ძალზე დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. გუნდში სხვა კლუბებიდან გადმოვიდნენ ახალი ფეხბურთელები. იმის თქმა, რომ სეზონის დაწყებამდე ხუთი-ექვსი კვირით ადრე შეიძლება შექმნა კოლექტივი, რომელიც სეზონს სასიკეთოდ დაამთავრებს, ძალზე სახიფათო ილუზია იქნებოდა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე გაქვს განახლებულ გუნდთან, რაც ყოველთვის იტანს რადიკალურ ცვლილებებს შემადგენლობაში, შეიძლება შეეგუო ჩვეულებრივ, ელემენტარულ მომზადებას, იმ



იოჰან კრუიფი

მომზადებას, სადაც საუბარია მოცემული კლუბის ჩვეულ სტარტზე.

მახსოვს ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველი მატჩის წინ, ყურადღება მივაქციე გუნდის უცნაურ განწყობილებას. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა პანიკა. მე დავიწყე ძიება, თუ რაში იყო საქმე: თურმე, მატჩი უნდა ჩაგვეტარებინა ტვენტეში, ადგილობრივი კლუბის წინააღმდეგ, იქ კი „აიაქსს" ათი წელია, არ მოუგია. გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ ტვენტეს ცენტრფორვარდი ახტენბერგი გაანადგურებს „აიაქსის" დაცვას. როგორც ახალმა კაცმა, არაფერი ვიცოდი არც „აიაქსისა" და არც „ტვენტეს" შესახებ. იმისთვის, რომ მორალურად გამემაგრებინა ჩემები, სერიოზულ ტაქტიკურ რჩევა-დარიგებებთან ერთად ვთქვი, რომ გაგონილი მქონდა ახტენბერგის მარკის ლუდი, მაგრამ არასდროს გამიგონია შეუჩერებელი ფეხბურთელი ამ გვარით. ამ ხუმრობამ ნაყოფი გამოიღო. ამასთან დამატებით მოვითხოვე ახტენბერგის პერსონალური დაჭერა, რომელიც მართლაც კარგი თავდამსხმელი იყო. ამან თავისი შედეგი გამოიღო და. ჩვენ მოვიგეთ 2:0.

რატომ მოვიყვანე ეს მაგალითი? მწვრთნელი ვალდებულია, ებრძოლოს არასწორ წარმოდგენას ამა თუ იმ მომავალ მეტოქეზე. თუ არ იბრძოლე როგორც ტაქტიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად, ამას ხშირად მოჰყვება უძლიერესი გუნდის აუხსნელი დამარცხება. თუმცა, მე არა ვარ პერსონალური დაცვის მომხრე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამის გამოყენება შეიძლებოდა.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ზაგალომ, რომელსაც მე ხშირად ვხვდებოდი, როცა იგი ევროპაში ჩამოდიოდა, ერთხელ ძალიან თბილად მოიხსენია თავისი ევროპელი თანამოძმენი: „ჩვენ შესანიშნავად ვათვითცნობიერებთ იმას, რომ ჩვენი მწვრთნელები ვერ უტოლდებიან ევროპელებს, ვერც ცოდნის დონით და ვერც კვალიფიკაციით. ჩვენ, სამხრეთ ამერიკელებს, შეგვიძლია საუბარი თამაშის სტილზე, ტაქტიკაზე, ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, კიდევ უნდა ვისწავლოთ და ვისწავლოთ".

ამას იმეორებენ სხვა მწვრთნელებიც, რომელთაც ესმით, რომ გამოცდილებით არ განისაზღვრება მწვრთნელის კვალიფიკაცია. სამწუხაროდ, მე ბევრი ფეხბურთელი შემხვედრია, მათ შორის სახელოვნებიც, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ თავისი გამოცდილება და ოსტატობა მათი წარმატების გარანტია იქნებოდა მწვრთნელის თანამდებობაზე.

პირადად მე, ხუთი წელი შევწირე არდადეგებსა და გართობებს, რათა დავუფლებოდი იმ ცოდნას, რომელიც აუცილებელია მწვრთნელისთვის. ჩემთან ცოდნა მოვიდა უფრო ადრე, ვიდრე გამოცდილება და ამაზე არც ვნანობ. ისმის კითხვა: მივაღწიე თუ არა წარმატებებს პროფესიაში? თუ გავითვალისწინებთ მუშაობას „აიაქსთან", პასუხი უნდა დადებითი იყოს. მაგრამ ვალდებული ვარ შევნიშნო შემდეგი, ასეთი რეპუტაციის გუნდთან მწვრთნელის წინსვლა კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე თითქმის შეუძლებელია. ყოველივე ახალი დაკავშირებულია რისკთან, ასე მიიჩნევს არა მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელები, რომლებმაც უკვე ყველაფერს მიაღწიეს, არამედ თავად მოთამაშეებიც, რომლებიც ახლოს არიან კრიტიკულ ასაკთან, ვისთვისაც ძნელია გარდაქმნა. ჩემს თავს უფლებას მივცემ მოვიყვანო ორი ეპიზოდი წარსულიდან, რომელიც, როგორც მგონია, ილუსტრირებას უკეთებს მწვრთნელის განვითარების გზას.

მე ვიყავი ახალგაზრდა, შემართებული და როგორც ადამიანს, რომელმაც ახლახანს დაამთავრა თამაში, „მექავებოდა ფეხები". გარდა ამისა, განსაზღვრული მქონდა, პირადი მაგალითით აღმეფრთოვანებინა ჩემი მოთამაშეები. ერთხელ ჩვენ მინიმალური ანგარიშით ვაგებდით. შესვენებაზე მე ჩავიცვი ფორმა და გამოვედი მინდორზე. საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვეთ 2:1. მე არნახულად ამაყი ვიყავი. რამდენიმე დღის შემდეგ შემთხვევა განმეორდა. მოწინააღმდეგე იგებდა 3:0 და ისევ მინდორზე გამოჩნდა „მოთამაშე მწვრთნელი", თუმცა, მეკავა საშტატო მწვრთნელის პოსტი. საბოლოოდ ჩვენ წავაგეთ თამაში კატასტროფული ანგარიშით 0:6. მაშინ მე გააფრთებულმა ამოვიღე ჯიბიდან ლიცენზია, რომელიც მაძლევდა თამაშის უფლებას და დავხიე იგი გუნდის თანდასწრებით. ეს იყო ჩემთვის მძიმე დარტყმა, მაგრამ კარგი გაკვეთილიც. მწვრთნელის პასუხისმგებლობა იმდენად დიდია და რთული, რომ მას არა აქვს უფლება, გამოხატოს უკმაყოფილება თავისი საკუთარი გუნდით.

მე მომიწია ყოფნა მილანში და გავიცანი ერერა, რომელიც „ინტერს" ხელმძღვანელობდა. მას არასდროს ვბაძავდი და არ მიმაჩნდა მისი მეთოდები და პრინციპები ყოველთვის სწორად. მიმაჩნია, რომ ისინი ამბიციურ მიზნებს მისდევდნენ, რომლებითაც მთლიანად გაჟღენთილია „კალჩიო". მიუხედავად ამისა, ჩვენ შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, ისე როგორც ეს შეშვენით ერთი პროფესიის ადამიანებს. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით, ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე და აქ მან გამოთქვა აზრი, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის



ჯონი რეპი

მთავარი იყო მომზადების სიდიდე, დრო, რომელიც განსაზღვრულია ამისთვის, ხოლო მეცადინეობის ინტენსიურობა, ეს არის უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშეებისთვის, რომელთა კოლექტიური ვარჯიში ზოგჯერ თამაშის სრულ იმიტაციას წარმოადგენს. ამის შემდეგ, მე მკაცრად ვიცავდი წესს, რომ ახალგაზრდების ვარჯიშის მეთოდები უნდა იყოს სრულიად სხვაგვარი, ვიდრე ჩამოყალიბებული ფეხბურთელებისთვის. ჩემთვის ეს პრობლემა მას შემდეგ სრულიად ნათელი გახდა. მაგრამ არ შემიძლია ვთქვა, რომ „აიაქსის" ხელმძღვანელობამ ეს მიიღო სრული გაგებით. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ასეთ პირობებში დაქვეითდებოდა წესრიგი და გაჩნდებოდა ბზარი ფეხბურთელთა სხვადასხვა თაობებს შორის. მაგრამ ეს პირდაპირ არავინ მითხრა და არ წამომიყენა საყვედური.

მე უმაღლესი ლიგის კლუბებში გამოსვლის 16-წლიანი სტაჟი მქონდა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ერთწლიანი განათლების კურსი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ავტორიტეტიანი, კარგად გათვითცნობიერებული ლექტორები, იძლევა მეტს, ვიდრე საფეხბურთო პრაქტიკის 16 წელი. ამაში დავრწმუნდი საკუთარ მაგალითზე. რა თქმა უნდა, მეცნიერული მიდგომით გადაჭარბება არვარგა. ფეხბურთი იყო და რჩება სპორტულ თამაშად, მაგრამ იგი ემყარება სრულიად სხვა მეცნიერებებს...

მოამზადა

გოგა კვიციანა

## რას დაარქმევდით




## ღიმილვორდი



ვერტიკალურად: 1. კიტრივით მწვანე (მულტ.); 3. რა შეიძლება გააწნა კაცს; 4. ბროლისკბილებიანი ულამაზესი ბებია(ლიტ.) 5. ანტიანანისტური პროპაგანდით გამსჭვალული ფელინის ფილმი; 6. რა უქნა მეზობლის მამალმა მეზობლის დედალს შეყვარების შემდეგ (სიმღ.); 9. როგორი გოგოა შოუ (ფილმ.); 10. „დო", „სი" და"ე"; 11. მუშტი-"–"; 16. არჩევნებისთვის და ნარჩენებისთვის განკუთვნილი საგანი; 17. ხველების ტკბილი წამალი; 20. სკრასა და ქარელს შორის (სიმღ.);

ჰორიზონტალურად: 2. ორი ქოთანი ვიყიდე „–", „–"; 3. ცხოველი, რომელიც თბილისის ზოოპარკში ვერ ცოცხლობს; 7. საუკეთესო იარაღის მთლელი მწყემსი ბიჭი; 8. რაში ებმებიან ახლადდაქორწინებულნი; 12. კარგი გოგო მილიციელისთვის (ფილმი); 13. „რვა კუ" მოთხრობითში; 14. ფიზიკისა და ჭიდაობის საერთო ელემენტი; 15. რა არხევდა ფოთლებს? (სიმღ.); 18. „სხვა საქართველო –"; 19. ვის უყვარდა ტარანი (ნაწარმ.); 20. „ა"-დან „ჰ"-მდე; 22. ჩვენს დროშაზე ახატია ნამგალი და – საბჭოთა ხელისუფლებავ, უნდა გემსახ–

შეადგინა ქეთევან ხიდაშელმა

## თავსატეხი

### იურიდიული კაზუსი

ძველმა რომაელებმა ნაკლებად გამოიჩინეს თავი მათემატიკაში. ისინი უფრო ცნობილნი არიან იურიდიულ მეცნიერებებში. ჩვენამდე მოღწეული ძველრომაული მათემატიკური თხზულებანი წმინდა პრაქტიკულ, უტილიტარულ ხასიათს ატარებენ.

არითმეტიკული ამოცანების ალმოცენების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახლდათ რომაული კანონები მემკვიდრეობის შესახებ. აი, ერთ-ერთი მათგანი.

სიკვდილის წინ ერთმა კაცმა, რომლის ცოლი ბავშვს ელოდებოდა, ასეთი ანდერძი დატოვა: ვაჟის დაბადების შემთხვევაში მიეცით მას მთელი ქონების 2/3, დედას კი 1/3. ქალის დაბადების შემთხვევაში, ის მიიღებს ქონების 1/3, დედა კი 2/3.

ქალმა ტყუპი ქალ-ვაჟი შვა. ასეთი რამ გათვალისწინებული არ იყო. როგორ უნდა გაიყოს ქონება დედასა და შვილებს შორის ისე, რომ მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ანდერძის პირობები?

### 140 ნომერში გამოქვეყნებული თავსატეხების პასუხები

1. გასროლა

ჯონსონმა ფაქტები დაამახინჯა. მის მდგომარეობაში მყოფი კაცი ვერ შეძლებდა გარაჟის ჩაკეტვას და მერე გაქცევას მომხდარი ფაქტის შესატყობინებლად.

2. შედეგი ერთია

1 + 1 + 2 + 4   1 X 1 X 2 X 4

1 + 1 + 1 + 2 + 5   1 X 1 X 1 X 2 X 5

ან 1 + 1 + 1 + 3 + 3   1 X 1 X 1 X 3 X 3 და ა.შ.

3. ბნელ ოთახში

საკმარისია ოთხი ცალი ფეხსაცმელი და სამი ცალი წინდა. ოთხ ცალში ორი, უეჭველად, ერთი მოდელის აღმოჩნდება, სამ წინდაში კი 2 ერთი ფერისა იქნება.

4. 1 (4:4) X (4:4)
2 (4:4)+ (4:4)
3 (4+4+4) :4
4 4+ (4-4) X 4
5 (4X4+4) : 4
6 4+ (4+4) :4
7 4+ 4 — 4 : 4
8 4+ 4 + 4 — 4
9 4+ 4 + 4 : 4
10 (44 — 4) : 4

## ანეკდოტები

მეგრელი კაზინოშია. ერთმა კრუპიემ ურჩია, მე მენდე და დიდ ფულს მოგაგებინებო. — პირველად იმ ციფრზე დადე, რამდენი წლისაც ხარ, — უთხრა კრუპიემ. დაუჯერა მეგრელმა და მოიგო. — ახლა, რამდენი შვილიც გყავს, ის ციფრი აირჩიე, — ჩასჩურჩულა ისევ. კიდევ მოიგო მეგრელმა. ახლა, — უთხრა კრუპიემ, — იმდენზე დადე, ერთ ღამეში ცოლთან ყოფნა რამდენჯერაც შეგიძლია. მეგრელმა 10-ზე დადო და მთელი მოგებული ფული წააგო.




— სკანი პაკაზუხა დედა ვატირე?! — დანანებით ჩაილაპარაკა.

* * *

კახელი ქალიშვილი აივანზე დგას და წუწუნებს:

— ვაი, რა ცუდათა ვარ, ქააა...

— რა დაგემართა, შვილო, — შეწუხდა დედამისი.

მამა ეზოში თოხნის და ცოლ-შვილის ჭხარეს არც იყურება.

– ცუდათა ვარ, ცუდათ, – ისევ წამოიტირა გოგომ.

— მაგას კაცი უნდა, — ჩაიბურტყუნა მამამ.

— არც კი გრცხვენია, — დაუტატანა ცოლმა. რაებს აბრალებ ბალღსა, — მითხარი, შვილო, რა გიჭირს, ეგებ გიშველო, — ისევ ქალიშვილს მიუბრუნდა.

— მამამ იცის, — თვალები დახარა გოგომ.

* * *

ქუთაისში აბანო იწვის. ქალები კივილით გამორბიან და ხელებით ტანის სიშიშვლის დაფარვას ცდილობენ. იქავე ახლოს ჰიჰიკია დგას და დინჯად აბოლებს.

— მაგ ხელები სახეზე ეიფარეთ, თქვე უტვინოებო, თვარა, ტანათ ყველა ერთნაირი გვაჭები ხართ! — გასძახა ქალებს.



## ტესტი:

# ფსიქოლოგიური თამაში მამაკაცებისთვის

1. დავუშვათ, გაჭედილ ავტობუსში მგზავრობთ. კმაყოფილი და მხიარული სკამზე ზიხართ და ფანჯარაში იყურებით. ირგვლივ ბევრი მოხუცებული და ბავშვიანი დედაა.

ა) ადგილს დაუთმობთ ბავშვიან ქალს — 5;

ბ) არ გაინძრევით. შინაგანად თავს იმით იმართლებთ, რომ ახლა თანასწორობაა — 0;

გ) როგორც კი ახლოს მდგომ ქალს შეამჩნევთ, ადგილს დაუთმობთ — 10.

2. თქვენი ცოლი სამსახურის შემდეგ შინ კი არ დაბრუნდა, არამედ თანამშრომელ ქალებთან და მამაკაცებთან ერთად კაფეში შევიდა. როგორ მოიქცევით?

ა) მკაცრ შენიშვნას მისცემთ, რადგან მიგაჩნია, რომ ქმრის გარეშე ქალის გამოჩენა თავშეყრის ადგილებში ულამაზოა — 5;

ბ) არაფერს ეტყვით, თუმცა, არ გსიამოვნებთ, რომ თქვენი ცოლი მამაკაცთა საზოგადოებაში იმყოფებოდა — 0;

გ) ეს სრულიად ნორმალურად მიგაჩნიათ, მით უმეტეს, რომ თავადაც ხშირად ხართ კოლეგებს შორის სამსახურის შემდეგ — 10.

3. შეიტყვეთ, რომ თქვენს უშუალო უფროსად ქალს ნიშნავენ. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) იფიქრებთ: ნეტავი, ლამაზი თუა? — 10;

ბ) მაგას ვუჩვენებთ სეირს — 0;

გ) ძალიანაც კარგი, თუ საქმიანი ადამიანია — 5.

4. თქვენი შვილის მასწავლებელმა სკოლაში დაგიბარათ. რას იზამთ?

ა) გადაწყვეტთ შვილის დასჯას — 0;

ბ) როგორც ყოველთვის, სკოლაში ცოლს გაუშვებთ — 5;

გ) ცოლს შესთავაზებთ თქვენთან ერთად წამოვიდეს სკოლაში — 10.

5. ცოლთან ჩხუბი მოგივიდათ.

ა) დილას დაელაპარაკებით — 10;

ბ) ამ სახლში მე ვარ უფროსი და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მსურს — გადაწყვეტთ თქვენ — 0;

გ) როგორმე შევრიგდებით —5.

6. როგორ გადაჭერით ფინანსური პრობლემა?

ა) თქვენ და თქვენი ცოლი ერთად წყვეტთ, რა იყიდოთ — 10;

ბ) მთელ ფულს ცოლს აბარებთ — 5;

გ) ცოლს ნაწილ-ნაწილ აბარებთ ფულს და ყოველ დანახარჯს უმოწმებთ — 0.

7. დამნაშავე ხართ და ცოლს პატიება უნდა სთხოვოთ.

ა) გეტყობათ, რომ თავს დამნაშავედ გრძნობთ — 10;

ბ) ურჩევთ ცოლს, ნუ აზვიადებს საქმეს — 0;

გ) რას იზამ, ასეთი ვარ და ასეთად მიმიღე — 5.

8. სამსახურში წვეულებას აწყობთ. ყველა თქვენი თანამშრომელი და თქვენი ცოლიც აქ არის.

ა) ყურადღებას მარტო ცოლს აქცევთ — 5;

ბ) ყველა ქალს ყურადღებით ეპყრობით — 10;

გ) მამაკაცების საზოგადოებას ამჯობინებით — 0.

9. ცოლს სამსახურეობრივი ხაზით დაწინაურება შესთავაზეს და მან რჩევა გკითხათ. როგორ მოიქცევით?

ა) რაც გინდა, ის ქენი, ეტყვით თქვენ — 5;

ბ) შენ ისედაც ბევრი საქმე გაქვს — 0;

გ) შეპირდებით ხელშეწყობას საოჯახო საქმეში — 10.

10. ცოლი მივლინებაში მიდის. რას იზამთ?

ა) ეს ხელს არ გაძლევთ, მაგრამ სხვა გზა არაა — 5;

ბ) ეტყვით: მე საოჯახო საქმეს ხელს არ მოვკიდებ — 0;

გ) დაამშვიდებთ, რომ ყველაფერს გაუძლევებით — 10.

11. თქვენი 16 წლის შვილს შეყვარებული ჰყავს. რას იტყვით?

ა) მგონი, ცოტა ადრეა — 5;

ბ) მოიყვანე და გაგვაცანი — 10;

გ) ჯერ ძალიან პატარა ხარ და ამაზე ლაპარაკი აღარ იყოს — 0.

12. თქვენი თანამშრომლები ხშირად ხმარობენ უწმაწურ სიტყვებს. როგორ მოიქცევით?

ა) ეცდებით ყურადღებით იყოთ ქალების თანდასწრებით — 5;

ბ) შენიშვნას მისცემთ კოლეგებს — 10;

გ) სხვებივით მოიქცევით — 0.

პასუხები:

120 ქულა — თქვენ მომხიბლავი მატყუარა ხართ.

90-115 ქულა — თითქმის იდეალური ქმარი ხართ. ვულოცავთ თქვენს ცოლს და თქვენს ნაცნობ ქალებს.

60-85 — მამაკაცთა ყველაზე გავრცელებულ ტიპს განეკუთვნებით. თქვენთან ცხოვრება სამოთხე არაა, მაგრამ ატანა შეიძლება.

60-ზე ნაკლები — შეეცადეთ ხასიათი შეიცვალოთ უკეთესობისკენ.